ბიულეტენი

№ 61
2001
ოქტომბერი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ISSN 1512-0813

- ნატო-საქართველოს პარტნიორობის პერსპექტივების გეოპოლიტიკური კონტურები
- ნაციონალიზმისა და ეროვნული სახელმწიფოს შესახებ

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

C 02 - 00955

© საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

© FRIEDRICH EBERT STIFTUNG

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ვახტანგ მაისაია
ნატო-საქართველოს პარტნიორობის პერსპექტივების გეოპოლიტიკური კონტურები 2

დავით პაიჭაძე
ნაციონალიზმისა და ეროვნული სახელმწიფოს შესახებ 26

"Die geopolitischen Umrisse von Perspektiven der Partnerschaft NATO- Georgien. Zu Fragen des Nationalismus und eines nationalen Staates"
Bull. Nr. 61; Oktober 2001

Auflage: 1000
Verfasser: Zentrum f. Strategische Studien und Entwicklung Georgiens
Seitenzahl: 32
Sprache: Georgisch
Originaltitel: `nato-saqartvelos partniorobis perspeqtivebis geopolitikuri konturebi'; ,nacionalizmis da erovuli saxelmwifos sesaxeb'

თბილისი

Friedrich-Ebert-Stiftung Bibliothek Bonn

C 02 - 00955

ნატო-საქართველოს პარტნიორობის პერსპექტივების გეოპოლიტიკური კონტურები

ვახტანგ მაისაია

90-იანი წლების დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ იდეოლოგიურ ნიადაგზეწარმოქმნილი „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ დაპირისპირების დასრულებამ, გამოიწვია ახალი ტრანსრეგიონალური პროცესების განვითარება. მსოფლიოს გლობალურ ეპიცენტრში კვლავ აღმოჩნდა ევროპის კონტინენტი. მანამდე არსებული ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის (მხედველობაში გვაქვს „ცივი ომის“ პერიოდი) სტრუქტურულმა ცვლილებამ წარმოაჩინა რეგიონალური ჩარჩოებში მოქმედი კოლექტიური თავდაცვის აუცილებლობა. ამას ხელი შეუწყო ევროპაში განვითარებული კონფლიქტური კერების სიმრავლემ (ბოსნია-ჰერცოგოვინა, კოსოვოს ოლქი, კავკასიის „ცხელი წერტილები“), ნაციონალიზმის აღზევებამ (რუსეთის ფედერაცია), ტერორისტული და უკონტროლო მიგრაციული ტალღის „მოზღვავებამ“ და ა.შ. პროცესების ლოგიკური განვითარების მიხედვით, ამ პერიოდში ტრანსრეგიონალური უსაფრთხოების პოლიტიკური პირობების განმსაზღვრელ გაერთიანებებად გამოვიდნენ-ეუთო (სტამბოლის 1999 წლის 19 ნოემბრის სამიტზე მიღებული „ევროპის უსაფრთხოების ქარტიის“ სახით) და ევროპის საბჭო, ხოლო სამხედრო-პოლიტიკურისა კი - ნატო და დასავლეთ ევროპის კავშირი (დეკი). ამ უკანასკნელი ორი ალიანსის მას შტაბებიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე, აშკარა უპირატესობა ენიჭებოდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, რომელიც ფაქტობრივად ტრანსკონტინენტალური სახის ორგანიზაციაა (ამერიკა-ევროპის კონტინენტის „გაერთიანების“ წყალობით). თუმცა ახლო მომავალში მას შეიძლება გამოუჩნდეს მძლავრი „კონკურენტი“ - ევროპის ეკონომიკური და საფინანსო გიგანტის - ევროკავშირის სახით (მასზე უფრო დეტალურად ქვეკით ვისაუბრებთ).

მიუხედავად ამისა, ნატო კვლავაც რჩება ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის განმსაზღვრელ სტრუქტურად, რომელიც კვლავაც დიდ როლს თამაშობს ტრანსკონტინენტალური სამხედრო-პოლიტიკური პროცესების განვითარების საქმეში. „ცივი ომის“ პერიოდში ჩამოყალიბებული როგორც ბლოკური ტიპის გაერთიანება, ის უკვე ტრანსფორმირდება რეგიონალური სახის კოლექტიური უსაფრთხოების საკვანძო ინსტიტუტად (ეს დაამტკიცა თუნდაც იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკასთან წარმოებულმა გამოუცხადებელმა ომმაც, კოსოვოში შექმნილი მდგომარეობის გამო 1999 წლის მარტი-მაისის თვეში).

ზოგად კონტექსტში გამოსაყოფია თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში ნატო-ს წინაშე მდგარი ახალი ამოცანები, მათი როლი და ფუნქციები. ამ მხრივ, რა თქმა უნდა აღსანიშნავია 1999 წლის აპრილის ნატო-ს უმაღლესი დონის ვაშინგტონის სამიტის შედეგები და მათი მნიშვნელობა ალიანსის წევრ-ქვეყნებისა და პარტნიორი სახელმწიფოებისათვის. „ცივი ომის “ დასრულების შემდეგ, ნატო-ს პირველად მოუწია ბალკანეთის რეგიონში სამხედრო ჩარევის განხორციელება, ამ სიცრცეში განვითარებული მოვლენების სტაბილიზაციის მიზნით. ამავე დროს, სწორედ „ბალკანური“ კამპანიის წარმოების შედეგად ნატო-ს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად გადაიქცა რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობების აღდგენა და 1998 წლამდე არსებული „სტატუს-ქვოს“ აღდგენა. აქვე გამოსაყოფია პოსტბიპოლარულ პერიოდში (1990-99 წლები) ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის განვითარების სამი მნიშვნელოვანი ეტაპი:

პირველ ეტაპზე, 1991 წელს განხორციელდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს ჩამოყალიბება (NACC); იმავე წელს რომის 8 ნოემბრის ჩრდილოეთატლანტიკური საბჭოს უმაღლესი დონის სამიტზე მიღებული იქნა „ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სტრატეგიული კონცეფცია“, რომელმაც შეცვალა 1967 წლის ე.წ. „ჰარმელის“ კონცეფცია და დასახა ახალი ამოცანები პოსტბიპოლარული პერიოდისათვის;

მეორე ეტაპზე, 1994 წელს აშშ-ს პრეზიდენტის ბილ ქლინთონის ინიციატივით შეიქმნა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ნატო-სა და პარტნიორი ქვეყნების პარტნიორული ურთიერთობების განვითარების საქმეში; 1995 წელს ნატო

პირველად თავის ისტორიაში ახორციელებს დეიტონის ხელშეკრულების საფუძველზე სამშვიდობო ოპერაციას ბოსნია-ჰერცოგოვინის ტერიტორიაზე.

მესამე ეტაპზე, 1997 წელს ჩამოყალიბდა ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (EAPC-ეაპსი), რომელიც ამჟამადაც ახორციელებს ევროატლანტიკური თანამშრომლობის პროცესს და რომელმაც შეცვალა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო. უახლოეს პერიოდში სწორედ ეაპსი შეიძლება გადაიქცეს ნატო-ს, ეუთო-ს, ევროკავშირის და ევროპის საბჭოს შორის დამაკავშირებელ რგოლად. 1999 წლის 23-24 აპრილს ვაშინგტონის უმაღლესი დონის ნატო-ს სამიტზე მიღებული იქნა ახალი სტრატეგიული კონცეფცია და ალიანსში „გაწევრიანების სამოქმედო გეგმა“ (Membership Action Plan). ამავე სამიტზე ოფიციალურად დამტკიცდა ე.წ. „ვიზეგრადის სამეულის“ (უნგრეთი, პოლონეთი და ჩეხეთი) ნატო-ში გაწევრიანების ფაქტი. ამავე დროს კი 1999 წლის 24 მარტიდან 10 მაისის ჩათვლით ნატო-ს შეიარაღებული ძალები იუგოსლავიის ახალი საკავშირო რესპუბლიკის წინააღმდეგ ახორციელებენ „მშვიდობის იძულების“ საბრძოლო ოპერაციას, რომელიც დაკავშირებულია ამ რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი კოსოვოს ავტონომიურ ოლქში (კოსოვოს ავტონომია მიენიჭა 1974 წელს) განხორციელებული ეთნიკური წმენდის გამო. აღნიშნული ოპერაცია ალიანსის ისტორიაში წარმოადგენს რიგით მეორე (მხედველობაშია ნატო-ს 1978 წლის სამხედრო ოპერაცია სახელწოდებით „ლეოპარდი“, რომელიც განხორციელდა აფრიკის კონტინენტზე - შაბუს პროვინციაში (ზაირის რესპუბლიკა)), და ევროპის ფარგლებში კი -პირველი, ასეთი სახის სამხედრო-ოპერატიული მოქმედება. აქვე აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ნატო-მ იკისრა ისეთი ფუნქციების შესრულება რომლებიც წარმოადგენენ მშვიდობისდაცვითი ოპერაციების ჩატარება, რაც საკმაოდ აქტუალურია დღეევანდელი ევროპული უსაფრთხოებისათვის. ასეთი ტენდენცია ნათლად წარმოჩინდა იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკის მაკედონიაში შექმნილ სიტუაციის ფონზე. ნატო-ს მიერ ტაქტიკური სამხედრო ოპერაციის „ძირითადი მოსავლის“ ჩატარება წარმოადგენს ალიანსის მიერ განხორციელებულ დამოუკიდებელ მშვიდობისდაცვითი სახის საქმიანობას. ამით ნატო-ს ენიჭება ახალი როლი და მოვალეობანი ჯერ კიდევ გარდაქმნების პროცესში არსებული ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურაში.

მეოთხე ეტაპად კი პირდაპირ შეიძლება მივიჩნიოთ 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ს წინააღმდეგ განხორციელებული ახალი ტიპის ფართომასშტაბიანი სამხედრო ტერორისტული აქციის განხორციელება და ნატო-ს საბჭოს მიერ ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის ამოქმედების პრეცენდენტი. მის მიხედვით კი: „ხელშეკრულების მონაწილე მხარეები იზიარებენ იმ აზრს, რომ შეიარაღებული თავდასხმა ერთ-ერთ ან რამდენიმე მხარეზე ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში განიხილება როგორც აგრესია ყველას წინააღმდეგ...“ ფაქტიურად კი ეს ნიშნავს კოლექტიური თავდაცვის პრინციპის სრულ ამოქმედებას და კოალიციური ტიპის საომარი მოქმედების დაწყებას ამჯერად ისეთი ფენომენის წინააღმდეგ როგორიცაა ტერორიზმი.

ნატო-ს როლი მიმდინარე გეოპოლიტიკური ტრანზიციის პროცესში

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა შეიძლება დახასიათდეს როგორც ისტორიაში აქამდე არნახული დინამიზმის ნიშნით გამორჩეული. საფრანგეთის რევოლუციის თანმხლები მოვლენების შემდეგ კაცობრიობის ისტორიაში არ მომხდარა ესოდენ მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი ძვრები ყველა იმ სფეროში, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ხასიათს, თანაც გასათვალისწინებელია, რომ ეს ძვრები დროის მეტად მოკლე შუალედში მოხდა, რამაც საერთაშორისო ურთიერთობის სისტემის განვითარებას ნახტომისებური და ძნელად პროგნოზირებადი ხასიათი მისცა. მრავალი ტენდენციის პროგნოზირება, რომელიც დღეს მოქმედებს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში რამ.ოდენიმე წლის წინ არც კი წარმოიდგინებოდა. ცვლილებების მასშტაბურობა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემას ხელს უშლის სწრაფად მიიღოს ჩამოყალიბებული სახე. თუმცა უკვე დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ თუ როგორი არ იქნება საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემა:

· ის არ იქნება უკონფლიქტო ხასიათის, როგორც ამას ზოგიერთი ლიბერალი თუ ნეოლიბერალი ანალიტიკოსი მიიჩნევდა „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ (მაგალითად:ევროპის რეკონსტრუქციის ბანკის ყოფილი მმართველი ჟაკ ატალი). შესაბამისად, სამხედრო ძალა დიდ როლს შეასრულებს კვლავ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში;

· ეს არ იქნება მსოფლიო სადაც მნიშვნელოვნად დეგრადირდება ან საერთოდ გაქრება ერი-სახელმწიფო (nation-state), ვითარება საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის უმნიშვნელოვანესი სუბიექტი. ინტეგრაციული პროცესების შემდგომი გაღრმავება არ იქნება ეროვნული სუვერენიტეტის მნიშვნელოვანი შეზღუდვის მიზეზი;

· ეს არ იქნება მსოფლიო, რომელიც მრავალპოლუსიანი იქნება იმ აზრით, რომ მასში რამოდენიმე მეტ-ნაკლებად ერთნაირი ძალის პოლიტიკური ცენტრი იარსებებს. იმ

პროგნოზისტულ ვადაში, რომელშიც აზრი აქვს მომავლის წინასწარმეტყველებას, დასავლეთს ცალსახა დომინირებას ექნება ადგილი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ყველა გადამწყვეტ სფეროში.

ამავე დროს შეიძლება გამოიყოს საერთაშორისო ურთიერთობათა დღევანდელი სისტემის პოზიტიური მახასიათებლებიც. ესენია:

· **ცვლილებების ფორსირებული ტემპი** - დღეს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ყველა რგოლის ტრანსფორმაცია უფრო სწრაფად ხდება ვიდრე ოდესმე კაცობრიობის ისტორიაში. თუმცა ეს პოზიტიურ მომენტებთან ერთად გარკვეულ სირთულეებსაც ქმნის ამ სისტემის უკონფლიქტო ფუნქციონირებისათვის;

· **ცვლილებების გლობალურობა** - გულისხმობს, ერთი მხრივ, იმას, რომ ეს ცვლილებები მოიცავენ მთელ დედამიწას, მეორე მხრივ, იმას, რომ დედამიწის ერთ კუთხეში მიმდინარე მოვლენები აქამდე არნახულ ზეგავლენას ახდენენ სხვა კუთხეებში მიმდინარე პროცესებზე და მესამე მხრივ, იმას, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის შემქმნელი ყველა ელემენტი და ყველა სფერო განიცდის ძირფესვიან ცვლილებებს. ეს ცვლილებები თავის მხრივ არსებით უკუგავლენას ახდენენ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ხასიათზე მთლიანად. მათ გარეშე შეუძლებელია ამ სისტემის სრულფასოვანი დესკრიფცია.

თანამედროვე ეპოქაში არსებული ტენდენციები მნიშვნელოვანწილადაა განსაზღვრული იმ ძვრებით, რომელსაც გასულ დეკადაში ჰქონდა ადგილი და რომელმაც მოიცვა პოლიტიკური, გეოპოლიტიკური, ტექნოლოგიური და სამხედრო სფეროები.

პოლიტიკური სფერო: ამ სფეროში ცვლილებები უპირველეს ყოვლისა გამოიხატება „ცივი ომის“ ხანის ბიპოლარული დაპირისპირების დასრულებით, ხოლო მოგვიანებით პროცესთა იმგვარი დინამიკით, რომელმაც ფაქტობრივად გამოიწვია მეორე მსოფლიო ომის შედეგად ინსტიტუციონიზირებული საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის გადასინჯვა. ძირეულად იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციების როლი:ნატო თანდათანობით ხდება მსოფლიო წესრიგზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია (ამასთან მოსალოდნელი არ არის გაეროს როლის სრული დეგრადაცია, თუმცა ის კვლავ შეასრულებს რამდენადმე შეზღუდულ, მაგრამ მნიშვნელოვან როლს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში). კიდევ ერთი ბოლო დროიინდელი ტენდენციაც შეიმჩნევა, რაც გამოიხატება დასავლეთის გლობალური გავლენის შემდგომი გაძლიერებით;

გეოპოლიტიკური სფერო: აქ მომხდარი ცვლილებები ვლინდება ევრაზიის კონტინენტზე ძალთა ბალანსის ძირეული შეცვლით, დასავლეთის ინსტიტუტების განვრცობით და გაფართოებადი ევროპის დაბადებით, აგრეთვე ტრადიციული კონფლიქტების დარეგულირებით და ახალი კონფლიქტების წარმოშობით. ამასთან, ირკვევა, რომ ევროპასა და აშშ-ს გარეშე არ გააჩნია რესურსები ამ კონფლიქტების დარეგულირებისათვის და ევრაზიის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. გეოპოლიტიკურ ძვრებს შორის უნდა გამოიყოს კომუნიკაციათა ახალი გლობალური ქსელების შექმნაც, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის გეოპოლიტუკურ კონფიგურაციას.

ტექნოლოგიური სფერო:ტექნოლოგიური ხასიათის ძვრები გამოიხატება ინფორმაციის საშუალებებში ყოველდღიური რევოლუციური მოზღვავებით, რომელიც მნიშვნელოვან ხასიათს ახდენს პოლიტიკური ხელისუფლების ხასიათზე, აგრეთვე არნახული წარმატებებით კომუნიკაციური ტექნოლოგიების და კოსმოსის ათვისების სფეროში.

სამხედრო სფერო:მოცემულ გეოპოლიტიკურ ტრანზიციაში განვითარებული სამხედრო ხასიათის გლობალური ცვლილებები განისაზღვრება როგორც პოლიტიკური და გეოსტრატეგიული, ისე ტექნოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორებით. განვითარების თანამედროვე დონეზე შეუძლებელია განვითარებული სამხედრო სექტორის შექმნა განუვითარებელი სამოქალაქო სექტორის პირობებში (როგორც ამას სსრკ-ს შემთხვევაში ჰქონდა ადგილი). აქედან გამომდინარეობს სამხედრო სფეროში დასავლეთის დომინირებადი როლი, რომელიც გარკვეულწილად ბალანსირებულია რუსეთის სტრატეგიული ბირთვული პოტენციალით. სამხედრო ძალის განმსაზღვრელი განადგურების საშუალებებთან ერთად იქცევა აგრეთვე მართვისა და დაზვერვის საშუალებები, უპირველეს ყოვლისა კოსმოსური. XX საუკუნის 20-იანი წლებისათვის მოსალოდნელი ახალი ტექნოლოგიური რევოლუცია სამხედრო სფეროში, ძირეულად შეცვლის ჩვენს წარმოდგენას საბრძოლო მოქმედებათა ხასიათზე.

აქტიურად 1990 წლიდან მოყოლებული გეოპოლიტიკური ტრანზიციის პირობებში, როდესაც საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა ანარქიული რეჟიმის პირობებში ვითარდებოდა და ორპოლუსიანი სამყაროს გაქრობამ გამოიწვია გარკვეული ქაოსი ახალი პოლარულობის გამოკვეთის საქმეში (განსაკუთრებით ევროპის კონტინენტზე), ძალთა ბალანსის კონკრეტულ მახასიათებლებზე ნაკლებად იყო შესაძლებელი საუბარი არა მხოლოდ გლობალურ, არამედ რეგიონალურ მასშტაბებში. უკვე ამ ეტაპზე, დღევანდელი რეალიების გათვალისწინებით, გარკვეული სახის წონასწორობის მაკონტროლირებელი მექანიზმის ზოგად მოდელად შეიძლება განიხილებოდეს ორი მნიშვნელოვანი

მოვლენა:

1) ტრანსრეგიონალურ ფარგლებში - 1999 წლის 19 ნოემბერს სტამბოლში ეუთო-ს ეგიდით მიღებული „ევროპის უსაფრთხოების ქარტია.“ სწორედ აღნიშნულ დოკუმენტში შემუშავებული მექანიზმები შეიძლება მივიჩნიოთ ევროპაში პოლიტიკური ეკვილიბრიუმის მარეგულირებელ ერთგვარ გარანტიად. ამისათვის მოვიყვანოთ ქარტიის რამოდენიმე თავში ჩადებულ დებულებათა ციტირება. კერძოდ, ქარტიის პირველი თავის მე-8 პუნქტის მიხედვით:„თითოეულ წევრ-ქვეყანას გააჩნია თანასწორი უფლება უსაფრთხოებისათვის. ჩვენ კვლავ ვადასტურებთ თითოეული სახელწიფოსათვის მინიჭებულ უფლებას თავისუფლად აირჩიონ ან შეცვალონ თავიანთი უსაფრთხოების პირობები, მათ შორის სამოკავშირეო ხელშეკრულებების მეშვეობით, მათი ევოლუციის განვითარების ფარგლებში. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს ყველა დანარჩენს ამ მხრივ და არ განამტკიცონ თავიანთი უსაფრთხოება სხვათა ხარჯზე. ეუთო-ს ფარგლებში არც ერთ სახელმწიფოს, სახელმწიფოთა კოალიციას ან ორგანიზაციას არ შეეძლება აიღოს ცალმხრივი პასუხისმგებლობა ეუთო-ს რეგიონში მშვიდობის და სტაბილურობის დამყარების საქმეში ან განიხილოს ეუთო-ს რეგიონის რომელიმე ნაწილი თავისი გავლენის სფეროდ.“

2) რეგიონალურ ფარგლებში - პარიზში 1990 წლის ნოემბერს გაფორმებული ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება და განსაკუთრებით კი ე.წ. „სამხრეთის“ და „ჩრდილოეთის“ ფლანგური ზონები. მათი მეშვეობით ფაქტიურად ხორციელდება სამხედრო ბალანსის მიღწევა და კონტროლი ორ ისეთ რეგიონში, როგორიცაა- შავი ზღვისა და ბალტიის აუზები. თუმცა, როგორც ბოლოდროინდელი მოვლენები მოწმობენ, უკვე აშკარად შეიმჩნევა ანატაგონიზმის ნიშნები „ევრაზიულ ბლოკს“ (რუსეთ-ბელორუსიის ალიანსი) და „ატლანტისტების ბლოკს“ (აშშ-ს და ნატო-ს უნისონი) შორის, რაც გამოიკვეთა კიდევაც სწორედ რეგიონალურ დონეებზე - შავი ზღვის აუზის რეგიონში (1999 წლის მარტ-აპრილში ბალკანეთის და აგვისტო-ოქტომბერში კავკასიის სუბრეგიონებში).

საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის შემდგომ არსებით ტენდენციე - ნატო-ს გაფართოება და მისი ფუნქციების ტრანსფორმაცია წარმოადგენს, რაც შესაბამისად აისახა კიდევაც ნატო-ს საიუბილეო სამიტზე მიღებულ ფუძემდებლურ დოკუმენტებში. ფაქტიურად, ნატო-ს გაფართოება შეგვიძლია განვიხილოთ დასავლური სივრცის განვრცობის კონტექსტში, მაგრამ ამ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში ახალ სახელმწიფოთა გაწევრიანებას და მისი ფუნ-

ნატო-ს ფუნქციონალური ტრანსფორმაცია გულისხმობს ამ ალიანსის ამოცანების შეცვლას მისი წევრების ეროვნული ტერიტორიის გარეთ. ამ მიზნებს შორის პრიორიტეტულად შეიძლება მივიჩნიოთ სამი: მასობრივი იარაღის გავრცელებასთან ბრძოლა, ტერორიზმთან და სხვადასხვა სახის ორგანიზებულ საერთაშორისო დაჯგუფებებთან ბრძოლა და ეთნიკური, რელიგიური და სხვა სახის კონფლიქტების აღკვეთა ნატო-ს წევრ-სახელმწიფოთა ეროვნული ტერიტორიის სიახლოვეს.

ქციების შეცვლას ახასიათებს მთელი რიგი სპეციფიკური მომენტები, რომელიც მიზანშეწონილს ხდის ამ პროცესის ცალკე განხილვას.

ნატო-ს ფუნქციონალური ტრანსფორმაცია გულისხმობს ამ ალიანსის ამოცანების შეცვლას მისი წევრების ეროვნული ტერიტორიის გარეთ. ამ მიზნებს შორის პრიორიტეტულად შეიძლება მივიჩნიოთ სამი:მასობრივი იარაღის გავრცელებასთან ბრძოლა, ტერორიზმთან და სხვადასხვა სახის ორგანიზებულ საერთაშორისო დაჯგუფებებთან ბრძოლა და ეთნიკური, რელიგიური და სხვა სახის კონფლიქტების აღკვეთა ნატო-ს წევრ-სახემწიფოთა ეროვნული ტერიტორიის სიახლოვეს. როგორც ნატო-ს ახალი ფუძემდებლური დოკუმენტიდანაა ცნობილი ეს ალიანსი აგრეთვე დიდ ყურადღებას ანიჭებს საერთაშორისო სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

ნატო-ს ტერიტორიული გაფართოვება არ არის გამოწვეული მხოლოდ ალიანსის ტაქტიკური სამხედრო მიზნებით. ეს გაფართოება აუცილებელი წინამძღვარია იმისათვის, რომ ალიანსმა შეძლოს თავისი ახალი ფუნქციის შესრულება. კოსოვოში ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევათა აღკვეთას ნატო ვერ მოახერხებდა, რომ არ ყოფილიყო მჭიდრო კოორდინაცია ნატო-ს და ნატო-ს არაწევრ ბალკანურ სახელმწიფოებს (რუმინეთი, ბულგარეთი, მაკედონია, ალბანეთი), აგრეთვე ნატო-სა და რუსეთს შორის. უკვე ეს ფაქტი ადასტურებს, რომ სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპაში, ანუ იმ რეგიონში რომელსაც საქართველო განეკუთვნება, შესაძლო კონფლიქტების ნეიტრალიზაციის საქმეში ნატო-ს გაფართოვებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ნატო-ს ახალი როლი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში გულისხმობს იმას, რომ ალიანსი იღებს პასუხისმგებლობას წესრიგის დამყარებაზე და

ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევების აღკვეთაზე იქ სადაც ამას გარკვეული მიზეზების გამო გაერო ვერ ახერხებს. მართალია, ამ დროს ნატო-ს მოქმედების გეოგრაფიული არეალი მნიშვნელოვნად იზრდება, მაგრამ ის არ იქცევა პლანეტარული მასშტაბის მოქმედ ორგანიზაციად. მისი პასუხისმგებლობის ზონად დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ევრაზია რჩება, ანუ ის არეალი რომელზეც პრიორიტეტულად მოხდება გაფართოებადი დასავლეთის ფუნდამენტალური ტენდენციის განხორციელება.

ამას გარდა, ნატო-ში ახალი წევრების მიღებას პრევენტული ფუნქციაც ეკისრება. იმ პრივილეგიების სანაცვლოდ, რაც ნატო-ს წევრებს გააჩნიათ, ალიანსის კანდიდატი სახელწიფოები (ნატო-ს ტერმინოლოგიით "ასპირანტი" ქვეყნები) იღებენ ვალდებულებას საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით მშვიდობიანად მოაგვარონ თავიანთი საშინაო კონფლიქტები, მოაწესრიგონ (ასევე მშვიდობიანი საშუალებებით) სადავო საკითხები მეზობელ სახელმწიფოებთან და უზრუნველყონ ისეთი შიდა პოლიტიკური წყობა, რომელშიც დაცული იქნება ადამიანის ძირითადი პოლიტიკური და სოციალური უფლებები. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ევრაზიაში მშვიდობისა და სტაბილურობის ზონის შექმნას.

ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის ახალი რეალიები და ნატო-ს დილემა

2000 წლის 25 ნოემბერს ლონდონში შედგა ორი ევროპული სახელმწიფოს - დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის ლიდერების, ტონი ბლერისა და ჟაკ შირაკის შეხვედრა. ამ შეხვედრის ერთ-ერთ მთავარ შედეგს წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის ერთობლივი ინიციატივა, რომელიც გულისხმობს ევროპული სწრაფი რეაგირების ძალების შექმნას კონტინენტის ფარგლებში წარმოშობილი კრიზისული სიტუაციების დარეგულირების მიზნით. აღნიშნული ინიციატივა დაეფუძნა ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბრის თვეში სან მალოში ჩატარებულ ბრიტანულ-ფრანგულ ანალოგიური დონის სამიტზე ხელმოწერილ დეკლარაციას. „სან მალოს დეკლარაციაში" აღინიშნა, რომ ევროკავშირს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა იმოქმედოს დამოუკიდებლად კრიზისული სიტუაციების მართვის შემთხვევაში სათანადო საკუთარი სამხედრო პოტენციალის მეშვეობით. ლონდონის სამიტის ფარგლებში გამოიკვეთა „ევროპული თავდაცვის და უსაფრთხოების ერთეულის" ("European security and defense identity") პროექტის მსგავსი პრინციპების შემუშავების ტენდენცია, რომლის სრული განხილვა მოხდა ევროკავშირის 10-11 დეკემბრის უმაღლესი დონის ჰელსინკის სამიტზე.

ამის პარალელურად, რამოდენიმე დღით ადრე ლუქსემბურგში (22-23 ნოემბერი), შედგა დეკ-ის 10 წევრ-სახელმწიფოს თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ დეკი-ს ექვსი ასოცირებული (ნორვეგია, ისლანდია, თურქეთი, პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი) და ხუთი მეთვალყურის სტატუსის მქონე (ირლანდია, ავსტრია, ფინეთი, შვედეთი და დანია) წევრი სახელმწიფო. ორგანიზაციის ახალ გენერალურ მდივნად არჩეულ იქნა ნატო-ს ყოფილი გენერალური მდივანი და ამჟამად ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში უმაღლესი წარმომადგენელი ჰავიერ სოლანა. ლუქსემბურგის შეხვედრის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენას შეადგენდა დეკ-ის წევრების გადაწყვეტილება ევროკავშირს მისცენ უფლება გამოიყენოს ამ ალიანსის სამხედრო-ტექნიკური შესაძლებლობანი კრიზისული სიტუაციების მართვის პროცესში. ამით ევროკავშირს პრაქტიკულად ექნება შესაძლებლობა დამოუკიდებლად (აშშ-ს და ნატო-ს დახმარების გარეშე) იმოქმედოს საჭიროების შემთხვევებში. თუმცა ჰავიერ სოლანას დეკ-ის გენერალურ მდივნად არჩევა გულისხმობს იმას, რომ ბრიუსელს საშუალება ექნება უშუალოდ გამოიყენოს და ირიბად აკონტროლოს დეკ-ის ისეთი სტრუქტურები, როგორიცაა:სამდივნო, სამხედრო შტაბი, სატელიტური დაზვერვის ცენტრი და უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტი. ამავე კონტექსტში, ლუქსემბურგშივე მიიღეს სარეკომენდაციო სახის დოკუმენტი, სადაც ხაზგასმულია ევროპის ფარგლებში სამომავლოდ მოქმედი მრავალეროვნული სწრაფი რეაგირების ძალების საბრძოლო მომზადების, სადაზვერვო და სტრატეგიული დაგეგმარების შესაძლებლობათა გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების საკითხი. დაისვა საკითხი აღნიშნული ძალების სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო სატრანსპორტო საშუალებებით აღჭურვის შესახებ, რათა მოხერხდეს ჰუმანიტარული და სამაშველო, მშვიდობის დამცველი და მშვიდობის იძულებითი ოპერაციების წარმატებით განხორციელება. აქვე საინტერესოა ლუქსემბურგის თავდაცვის მინისტრის ჩარლზ გოერენის შემდეგი სიტყვები:„გადაიდგა წინ ძალზედ მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც წარმოუდგენელი იქნებოდა სულ რაღაც რამოდენიმე წლის წინათ." სხვათა შორის, თვით ევროკავშირი დეკ-ს განიხილავს, როგორც დასავლეთ ევროპის უსაფრთხოების გარანტს და პირობითად, თავისი თავდაცვითი პოლიტიკის განმახორციელებელ ძირითად ინსტრუმენტს (აქვე გამოსაყოფია ის ფაქტიც, რომ დეკ-ი თავის დროზე შეიქმნა როგორც საბჭოთა კავშირის ფართომასშტაბიანი აგრესიის „მეორე ეშელონის" მოსაგერიებელი სტრუქტურა).

ერთი მხრივ, ბრიტანულ-ფრანგული პანევროპული ინიციატივა ნატო-ს ჩანაცვლების მისწრაფებას წარმოადგენს, სადაც ამერიკელთა

დომინანტობა ცხადზე უცხადესია. მაგრამ მის პრაქტიკულ რეალიზებამდე ჯერ კიდევ ადრეა საუბარი, რადგანაც ევროპული სახელმწიფოები შეიარაღების ზოგიერთ მნიშვნელოვან კომპონენტებში მჭიდროდ არიან დამოკიდებული ამერიკელებზე თვით ევროპის კონტინენტზე (მაგალითად:სატელიტური და კოსმოსური დაზვერვა, აერომობილურობა, სპეცოპერაციების დაგეგმვა და შესრულება, ზურგის ორგანიზება და ა.შ). გარდა ამისა, ასეთი ევროპული ძალების ჩამოყალიბებას დასჭირდება თავდაცვითი ბიუჯეტის გაზრდა იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებიც ჩაერთვებიან მათ შექმნაში. ამიტომაც ჯერჯერობით ნატო კვლავ დარჩება ევროპული უსაფრთხოების რეალურ სამხედრო ინსტრუმენტად (თუნდაც გარდამავალ პერიოდში, რომელიც შეიძლება ათწლეულობით გაიწელოს). სწორედ აღნიშნული მოსაზრებებისა და აშშ-ს ისტორიული „ძმობის" ფაქტორის გათვალისწინებით, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა შემდეგი განცხადება გააკეთა:„ევროპული სწრაფი რეაგირების ძალები შეიქმნება როგორც ნატო-ს „დანამატი", რომელიც ჩვენი უსაფრთხოების ქვაკუთხედია". საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა, რომელსაც ვაშინგტონში ბევრნი ალიანსის „დაკნინების" სურვილის მქონე პოლიტიკოსად მიიჩნევენ, ხაზი გაუსვა, რომ „რეალობაში ეს ინიციატივა გააძლიერებს ნატო-ს". თავის მხრივ ჯერ კიდევ ნატო-ს აპრილის ვაშინგტონის უმაღლესი დონის სამიტზე, აშშ-ს პრეზიდენტმა ბილ ქლინთონმა და ნატო-ს ხელმძღვანელობამ თანხმობა განაცხადეს მომავალი ევროპული თავდაცვითი ოპერაციების მხარდასაჭერად გამოყონ ალიანსის საბრძოლო შესაძლებლობანი, განსაკუთრებით სატელიტური დაზვერვის და სამხედრო პერსონალის გადაადგილებისათვის აუცილებელი სატრანსპორტო საშუალებები. ასეთივე მიდგომა დაფიქსირდა ასევე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ახალ სტრატეგიულ კონცეფციაშიც. ამასთანავე, ნატო-ს მთავარსარდლის ერთ-ერთ მოადგილედ აუცილებლად ევროპელი სამხედრო მაღალი პირი ინიშნება, რაც გამოხატავს კიდევაც ალიანსის ეგიდით ჩატარებულ ოპერაციების „ეროვნულ" წარმომავლობასაც.

ნატო-ს რეაქციაც აღნიშნული ინიციატივის თაობაზე საკმაოდ ზომიერი გამოდგა. კერძოდ, ამა წლის დეკემბერში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს თავდაცვის მინისტრების სესიაზე მიღებულ კომუნიკეს მე-17 პუნქტის თანახმად:„ჩვენ მივესალმებით ყველა ევროპელი მოკავშირის გადაწყვეტილებას მიიღოს ყველა ზომა ევროპული სამხედრო შესაძლებლობათა გაძლიერებისათვის. ასეთი წინგადადგმული ნაბიჯები კიდევ უფრო გააძლიერებს მოკავშირეთა ძალისხმევას ალიანსის ამოცანების მიღწევაში და ასევე გააძლიერებს ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ ოპერაციათა შესაძლებლობას. ჩვენ ყურადღებას ვადევნებთ ევროკავშირის მიმდინარე საქმიანობას და ველით ევროკავშირის ინიციატივებს, რომლებიც შეიძლება წარმოჩინდნენ ჰელსინკის სამიტზე, განსაკუთრებით კი თავდაცვის სფეროში არასაჭირო დუბლირების თავიდან აცილების კონტექსტში, რადგანაც აღნიშნულმა ინიციატივებმა და ნატო-ს „თავდაცვით შესაძლებლობათა ინიციატივამ" (Defence Capabilities Incentive) ერთობლივად უნდა შეუწყონ ხელი ურთიერთგაძლიერებას, რაკი ძლიერი ევროპა ძლიერ ალიანსს ნიშნავს. ამის საფუძველზე, ჩვენ მოველით მჭიდრო ურთიერთობების განვითარებას ნატო-ს და ევროკავშირს შორის". იქვე, მე-18 პუნქტის თანახმად კი 2000 წლის თებერვალში დაგეგმილია ნატო-ს და დეკ-ის ერთობლივი წვრთნა კრიზისის მართვის სფეროში. ამავე დროს საინტერესო გამოდგა ნატო-ს გენერალური მდივნის ჯორჯ რობერტსონის რეაქციაც ბრიტანულ-ფრანგულ ინიციატივაზე. მისი განმარტებით დამოუკიდებელი ევროპული თავდაცვა არ შეასუსტებს ტრანსატლანტიკურ კოოპერაციას და ამგვარი საშიშროება საფუძველს მოკლებულია.

თავისთავად ცხადია, რომ ჯორჯ რობერტსონის ეს სიტყვები მიმართულია აშშ-ს ხელისუფლების უარყოფითი რეაქციის მიმართ. აშშ-ს შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ევროკავშირის გეგმებმა თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში მჭიდრო თანამშრომლობის თაობაზე შეიძლება გამოიწვიონ სერიოზული უთანხმოება და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურის დარღვევა ატლანტიკური ალიანსის შიგნით. ვაშინგტონი მოითხოვს, რათა მასთან გამართის შესაბამისი კონსულტაციები სანამ ევროკავშირი, თავის მხრივ, რაიმე სერიოზულ ნაბიჯს გადადგამდეს და რომ ნატო აუცილებლად უნდა დარჩეს ევროპული უსაფრთხოების ფუძემდებელ ორგანოდ.

აქედან გამომდინარე, ყველა საუბარი სავარაუდო სამხედრო ოპერაციის შესახებ უნდა იმართებოდეს ნატო-ს ეგიდით. როგორც ჟურნალ "The Time"-ს განუცხადა ერთ-ერთმა ამერიკელმა დიპლომატმა:„იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ვაშინგტონი გადაწყვეტს არ გააგზავნოს თავისი ჯარები, ჩვენ გვექნება სურვილი მივიღოთ უშუალო მონაწილეობა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში." ასეთი მიდგომა დაფიქსირდა აშშ-ს სენატის მიერ ამა წლის ოქტომბრის თვეში მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაშიც. აშშ-ს ხელისუფლების ძირითადი პოზიცია ზოგადად შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სახით:ევროპული თავდაცვის პანევროპული ინიციატივა გამოიწვევს აშშ-ნატო - არაევროკავშირის წევრი ქვეყნების „იზოლირებას" ევროპის ფარგლებში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური პროცესებისაგან. ეს კი თავის მხრივ, მთელ რიგ უთანხმოებებს წარმოშობს ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის სფეროში, რაც კრიზისებზე რეაგირების პროცესზე უარყოფითად იმოქმედებდა. ამრიკელების

გაღიზიანებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ევროპელმა სახელმწიფოებმა დაიწყეს თავდაცვის ხარჯების მკვეთრი შემცირება. მაგალითად, 1992 წლიდან მოყოლებული ნატო-ს ევროპულმა წევრ-ქვეყნებმა თავიანთი თავდაცვითი ხარჯები 22%-ით შეამცირეს.

მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების კიდევ ერთ საყურადღებო მხარეს შეადგენს ევრაზიის კონტინენტზე უსაფრთხოების სისტემის ახალი კონტურების გამოჩენა. კერძოდ, 1999 წლის 10-11 დეკემბერს ჩატარებულ ევროკავშირის უმაღლესი დონის სამიტზე განსახილველად იქნა წარდგენილი საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და დიდი ბრიტანეთის წინადადება 2003 წლისათვის ჩამოყალიბდეს 40-60 ათასიანი სწრაფი რეაგირების ძალები, საარმიო კორპუსის მასშტაბით.

თავის მხრივ, ევროპულ სახელმწიფოებსაც (პირველ რიგში, საფრანგეთს და შემდეგ კი გერმანიას) თავიანთი პრეტენზიები აქვთ აშშ-ს მიმართ სამხედრო პოლიტიკის ზოგიერთ საკითხში. კერძოდ, ეს ეხება აშშ-ს გახმაურებულ ინიციატივას განახორციელოს ეროვნული სარაკეტო თავდაცვის სისტემის პროექტი. აღნიშნული ორი ევროპული სახელმწიფო ამას ამერიკელების მიერ ცალმხრივად გადაგმულ ნაბიჯად მიიჩნევს, რომელსაც შეუძლია ძირი გამოუთხაროს ნატო-ს ერთიანი თავდაცვის კონცეფციას. საფრანგეთისა და გერმანიის პოზიციების შეჯერება „ევროპული თავდაცვითი ინიციატივის" მიმართ მოხდა 30 ნოემბერს პარიზში შემდგარ პრეზიდენტ ჟაკ შირაკისა და გერმანიის კანცლერის გერხარდ შროდერის ერთდღიან შეხვედრაზე. პარიზის სამიტის მონაწილე მხარეებმა, უფრო მეტიც, გამოთქვეს მზადყოფნა ხელი შეუწყონ ევროპის ერთიანი სამხედრო საჰაერო ძალების და საჰაერო ტრანსპორტის სამართავი ცენტრის იდეის რეალიზებას.

მიმდინარე საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების კიდევ ერთ საყურადღებო მხარეს შეადგენს ევროპის და ევრაზიის კონტინენტებზე უსაფრთხოების სისტემის ახალი კონტურების გამოჩენა. კერძოდ, 1999 წლის 10-11 დეკემბერს ჩატარებულ ევროკავშირის უმაღლესი დონის სამიტზე განსახილველად იქნა წარდგენილი საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და დიდი ბრიტანეთის წინადადება 2003 წლისათვის ჩამოყალიბდეს 40-60 ათასიანი სწრაფი რეაგირების ძალები, საარმიო კორპუსის მასშტაბით (დაახლოებით 15 ბრიგადის შემადგენლობით). აღნიშნული კორპუსის სავარაუდო კრიზისულ სიტუაციის ტერიტორიაზე გადასროლა და განთავსება უნად მოხდეს 60 დღის განმავლობაში. ამასთან ერთად, ევროპული სწრაფი რეაგირების ძალები უზრუნველყოფილ იქნებიან დამოუკიდებელი სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო საშუალებებით (კერძოდ, საფრანგეთის თავდაცვითი უწყების წინადადებით კორპუსის განკარგულებაში უნდა იმყოფებოდეს 500-მდე საბრძოლო თვითმფრინავი და 15-მდე სამხედრო ხომალდი). აქვე აღსანიშნავია, რომ საჰაერო საშუალებათა პირობებს სავარაუდოდ უზრუნველყოფენ ევროპული სამხედრო-სამრეწველო კორპორაციები (მაგალითად, ბრიტანულ-გერმანული მე-5 თაობის, ბომბდამშენი 1„ევროფაითერი", შვეიდური „გრიფენი" და ფრანგული „რაფალი").

თანამედროვე ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთ ძირითადი ფაქტორად ითვლება ევროპული ეროვნული ინტერესების ინტეგრაციის ფენომენი. ეროვნული ინტერესების ინტეგრაციის ფენომენი

გამოიხატება კონფლიქტური კერების სიმრავლით და ე.წ. „უკონტროლო ტერიტორიების“ არსებობით. მას თან ერთვის ასევე მძლავრი არალიმიტირებული მიგრაციული „ბუმის“ საშიშროება პოსტინდუსტრიული ქვეყნებისათვის (დასავლეთ ევროპა-აშშ).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე გასაგები ხდება ისეთი ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის ინტერესი კავკასიის მიმართ, როგორიცაა ნატო. ალიანსის დაინტერესება რეგიონით დაიწყო 1994 წლიდან, „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ამოქმედებით და კიდევ უფრო განვითარდა 1997 წელს ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ჩამოყალიბებით. ამ ორივე სფეროში აქტიურად არიან ჩართულნი სამივე კავკასიური სახელმწიფო (განსაკუთრებით კი საქართველო და აზერბაიჯანი და შედარებით ნაკლებ მასშტაბებში-სომხეთი). ნატო-ს ინტერესთა სფეროს გაფართოვება ტრანსატლანტიკური სივრცის მიღმა კარგად არის წარმოჩენილი 1999 წლის 23-24 აპრილის ნატო-ს უმაღლესი დონის ვაშინგტონის სამიტზე მიღებული დოკუმენტების:„ალიანსის სტრატეგიული კონცეფციისა“ (The Alliance`s Strategic Concept) და „თავდაცვით შესაძლებლობათა ინიციატივის“ (Defence Capabilities Initiative) მიხედვით. პირველი დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია ნატო-ს პასუხისმგებლობის სამოქმედო ზონები, საბრძოლო შესაძლებლობათა ადაპტირების აუცილებლობა და გამოყოფილია ალიანსის სამხედრო პოლიტიკის წარმოების დიპლომატიური ასპექტები. მეორე დოკუმენტში კი განსაზღვრულია კონკრეტული ის საფრთხეები, რომლებსაც ნატო ასეთად აღიქვამს XXI საუკუნის დასაწყისში. კერძოდ, რეგიონალური კონფლიქტები, ეთნიკური შეჯახებები და სხვა კრიზისები ალიანსის სამოქმედო სივრცის მიღმა, ისევე როგორც მასობრივი განადგურების შეიარაღების და მისი გადაადგილების საშუალებათა გავრცელება. თუმცა ვაშინგტონშივე მიღებული სამიტის საბოლოო კომუნიკეს 42-ე პუნქტის მიხედვით გამოყოფილია ასევე ტერორიზმის საშიშროებაც. ნატო-ს ახალი სტრატეგიული კონცეფციის მე-20 პუნქტის მიხედვით ევროატლანტიკური სივრცის ირგვლივ არსებულმა არასტაბილურობის სარტყელმა და ალიანსის სივრცის პერიფერიებზე წარმოებულმა რეგიონალურმა კრიზისებმა (შეიარაღებული კონფლიქტები, პოლიტიკური დეზინტეგრაცია, სოციალური და ეკონომიკური უკიდურესი სიდუხჭირე) შეიძლება უშუალო ზეგავლენა მოახდინოს ნატო-ს წევრ-ქვეყნების უსაფრთხოებასა და ასევე პარტნიორ სახელმწიფოთა სტაბილურობაზე. სავარაუდოდ ნატო-ს წევრ-ქვეყნებისათვის რთული პროცესების მატარებელ ასეთ „პერიფერიებად“ ჩაითვლებიან:მაღრიბის (საფრანგეთი, ესპანეთი და იტალია), ბალკანეთის (იტალია, უნგრეთი, თურქეთი და საბერძნეთი), კავკასიის (თურქეთი და ნაწილობრივ აშშ - აქ დისლოცირებული სამხედრო ბაზების სახით) რეგიონები. აქვე გასათვალისწინებელია ასევე ბირთვული საფრთხის მომენტიც, რომელიც განსაზღვრულია კონცეფციის 21-ე პუნქტში და რომელიც გულისხმობს ძირითადად რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული დანიშნულების ძალებს. ამ უკანასკნელის კონტექსტში „კავკასიურ“ თემატიკასთან დაკავშირებით შეიძლება ჩაითვალოს რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ კავკასია (მაგალითად:მოზდოკის და ენგელკის სამხედრო-საჰაერო ბაზები). საინტერესოა ისიც, რომ ნატო-ს პარტნიორობისა და თანამშრომლობის განვითარების პრინციპის ჩარჩოებში, კავკასია მოიაზრება ერთიანი რეგიონის სახით და ამ კუთხით ხორციელდება მის შემადგენელ სახელმწიფოებთან პოლიტიკური დიალოგის წარმოება. ამ მხრივ გამოსაყოფია 1999 წლის ივლისში ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს (ეაპსი) ფარგლებში ე.წ. „კავკასიის სამუშაო ჯგუფის“ ჩამოყალიბება, სადაც განხორციელდება როგორც რეგიონის ცალკეული სახელმწიფოების, ისე ზოგადად თვით კავკასიის წინაშე მდგარი პრობლემების ეაპს-ის ფარგლებში უფრო აქტიური განხილვა და მოგვარების გზების ძიება. აღნიშნული ჯგუფის მიზნებს შეადგენს:

1. რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავება;
2. ეაპს-ის ფარგლებში და მის წევრ-ქვეყნებში არსებული ფართო გამოცდილების შეძენა თანამშრომლობის კონკრეტულ სფეროებში;
3. რეგიონალური ქვეყნების მონაწილეობის ხელშეწყობა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამისა და საზოგადოდ ნატო-სა და ეაპს-ის ფარგლებში მიმდინარე პროცესებში სხვადასხვა სპეციფიკურ სფეროებში არსებულ პრობლემებზე ყურადღების გამახვილება.

ამით, ფაქტობრივად, გამოიხატა ნატო-ს დაინტერესება კავკასიის მიმართ, როგორც ერთიანი გეოპოლიტიკური არეალის კონტექსტში (მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიის სუბრეგიონთაც). ამიტომაც სამხრეთ ევროპის რეგიონის შემადგენელ ნაწილად ბალკანეთისა და შავიზღვისპირეთთან ერთად მოისაზრება კავკასიის სუბრეგიონიც. მეორე მხრივ, პოტენციური კრიზისების პრევენტირება და ლოკალიზირება ნატო-ს საპასუხისმგებლო ზონის გარეთ დაფიქსირებულია „სტრატეგიული კონცეფციის“ 48-ე პუნქტში. აქედან გამომდინარე, კავკასიის კონფლიქტურ კერებში მიმდინარე პროცესებს მრიუელი დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს. საერთოდ ნატო-ს „კავკასიური“ სტრატეგიის შემუშავებისა და მისდამი დაინტერესების კუთხით გამოსაყოფია ოთხი მნიშვნელოვანი ფაქტორი:გეოპოლიტიკური, გეოსტრატეგიული, გეოეკონომიკური და გეოსოციალური ინტერესები.

გეოპოლიტიკური ინტერესები: ნატო-ს დაარსების გეოპოლიტიკური ასპექტი გამომდინარეობს იმ დებულებიდან, რომ ალიანსი წარმოადგენდა ჯერ კიდევ 40-იანი წლების დასაწყისში ამერიკელი გეოპოლიტიკოსის ნიკოლას ჯონ სპაიკმენის „რიმლდენ-ჰართლენდის“ თეორიის ბაზაზე შემუშავებული „ალყა შემორტყმული ციხესიმაგრის“ კონცეფციის შემადგენელ ერთ-ერთ საკვანძო ფაქტორს. აშშ-ს ადმინისტრაციის მიერ ჩამოყალიბებული „ალყა შემორტყმული ციხესიმაგრის“ კონცეფცია (მეორენაირად მას „ანაკონდას“ სტრატეგიასაც უწოდებენ) მიმართული იყო სსრკ-ს და ვარშავის პაქტის წინააღმდეგ და ითვალისწინებდა „რიმლენდის“ გეოპოლიტიკურ სივრცეში (სსრკ-ს და მისი უახლოესი გავლენის ზონების გასწვრივ) ანტისაბჭოთა სამხედრო ბლოკების შექმნას, რაც განხორციელდა კიდევაც ეტაპობრივად (1949 წელს ევროპაში დაარსდა ნატო, 1955 წელს დასავლეთ აზიაში - SENTO და 1958 წელს აღმოსავლეთ აზიაში - SEATO). როგორც ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ცხადყო ევროპის კონტინენტზე ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საერთო უსაფრთხოების მოდელის ფარგლებში შეინიშნება „ბიპოლარული სისტემის“ აღზევების ტენდენცია-რუსეთ-ნატო-ს კონფრონტაციის მაგალითზე (თუმცა 2000 წლის 16 თებერვალს ნატო-ს გენერალური მდივნის ჯორჯ რობერტსონის მოსკოვში ერთდღიანი ვიზიტის შედეგად მოხდა ნატო-სა და რუსეთის ფედერაციას შორის პარტნიორული ურთიერთობათა აღდგენის დეკლარირება, რამდენად „სიცოცხლიუნარიანი“ იქნება ასეთი ტენდენცია უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი). ეს მოდელი განსხვავებული იქნება იმისაგან, რომელიც „ცივი ომის“ პერიოდში „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ დაპირისპირებისას მოქმედებდა. ამის მიხედვით, გადანაცვლდება მხოლოდ მასში მოქმედი სუბიექტები:„აღმოსავლეთის“ „დასავლეთზე“ ზეწოლის ვექტორი საპირისპირო მიმართულებით შეიცვლება და „აღმოსავლეთის“ შემტევი და აქტიური თავდასხმის კონცეფცია წმინდა თავდაცვითი ხასიათის გახდება. როგორც ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოების ტენდენცია მიუთითებს „ჰართლენდის შეკავების“ თეორია გეოსტრატეგიულ პლანში „ჰართლენდის შეზღუდვის“ თეორიად იქცევა.ამიტომაც ამჟამინდელ „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ ურთიერთობებში საქართველოსა და მთლიანად კავკასიის როლი ერთი-ორად გაიზარდა. „ვიზოგრადის“ ქვეყნების ნატო-ს შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, ანალოგიური პროცესი შეიძლება განვითარდეს სამხრეთ მიმართულებითაც და მას „ნატო-ს სამხრეთით გაფართოვების“ პროცესი ეწოდოს, სადაც განვრაინების პერსპექტიული შანსები ექნებათ ხორვატიას, სლოვენიას, სლოვაკეთს (ამ ეტაპზე მის ინტერესებს ალიანსის ფარგლებში ლობირებს „ვიზოგრადის“ დანარჩენის სამი ქვეყანა, რაც აისახა კიდევაც ე.წ. „ტარტის“ დეკლარაციაში), რუმინეთსა და ბულგარეთს. ეს ორი ქვეყანა ნაწილობრივ ესაზღვრებიან საქართველოს და კავკასიის რეგიონს შავი ზღვის აუზის აკვატორიის საზღვრებში და რა თქმა უნდა ალიანსის ინფრასტრუქტურის გამოჩენა უკვე შავი ზღვის სივრცეში გამოიწვევს რუსეთის გაღიზიანებას. ამას მოწმობს თუნდაც 1999 წელს ერთ-ერთი გავლენიანი მაღალი რანგის ოფიცრის, გენერალ-პოლკოვნიკ ლეონიდ ივაშოვის შემდეგი განცხადება, რომლის მიხედვითაც ნატო-ს გაძლიერება სამხრეთ ფლანგებზე გაძლიერება ზრდის “ამიერკავკასიაში“ დაძაბულობისა და ურთიერთდაპირისპირების დონეს. ნატო ამით აქტიურად ცდილობს შეზღუდოს რუსეთის გავლენა ევროპის ფარგლებში და შეინარჩუნოს ე.წ. „ანაკონდას“ გეოპოლიტიკური სტრატეგიის ძირითადი მხარეები. მეორე მხრივ, გამოსაყოფია ისიც, რომ ნატო-სა და რუსეთს შორის არსებული ანტაგონიზმი ატარებს ბუნებრივ ხასიათს, რადგანაც როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან ჩანს, თავის დროზე ალიანსი შეიქმნა სწორედ რუსეთის წინააღმდეგ.

გეოსტრატეგიული ინტერესები: როგორც სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, ალიანსს რეგიონისადმი გააჩნია უფრო მეტად სტრატეგიული ინტერესები, სამხედრო გეოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით. მისი გეოსტრატეგიული დაინტერესების მხარე გარკვეულწილად აისახა მასალის დასაწყისში, რაც შეეხება კონკრეტულ სამხედრო ინტერესთა სფეროს, მათგან შეიძლება გამოვყოთ ორი საყურადღებო ასპექტი:

ა) სამხედრო-სტრატეგიული ასპექტი - ჩრდილოატლანტიკური ბლოკის სამხედრო დაგეგმარების პრინციპები ეფუძნება „მოქნილი რეაგირების“ სტრატეგიას, რაც გულისხმობს ფართომასშტაბიანი, შეზღუდულ მოქმედებათა ომებისა და სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირებისათვის მზადებასა და მაზე სწრაფად რეაგირებას. სხვათა შორის ნატო-ს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით რეგიონალურ მასშტაბებში სამხედრო ძალის დემონსტრირების სხვადასხვა მიდგომებია გამომუშავებული. მაგალითად:ევროპის სამხრეთ და ჩრდილოეთ რეგიონებში ალიანსი შეინარჩუნებს „მოწინავე თავდაცვის“ კონცეფციას, მაშინ როდესაც ცენტრალურ ევროპის მიმართ გამოიყენება „შეზღუდული მოწინავე განლაგების“ კონცეფცია, რომლებიც „მოქნილი რეაგირების“ სტრატეგიის შემადგენელი ნაწილებია.

აქვე ხაზგასასმელია ისიც, რომ სტრატეგიული კონცეფციების ტრანსფორმაცია, მათი კომბინირებული გამოყენების პერსპექტივების სახით („მოწინავე თავდაცვა“, „მოწინავე განთავსების შემცირება“ და ა.შ), თავის გავლენას ჰპოვებს ნატო-ს საერთო დანიშნულების ძალების (სახმელეთო ჯარები, ტაქტიკური საბრძოლო ავიაცია, სპეცდანიშნულების ნაწილები, სატრანსპორტო და დამხმარე სამხედრო-საზღვაო

ძალების საშუალებები) ამოცანებსა და მოცულობაზე. პირველ რიგში ეს გამოიხატება იმაში, რომ მომავალი სამხედრო საფრთხეების პირობებში საჭირო აღარ იქნება კრიზისულ რაიონებში საერთო დანიშნულების ძალების სრულმასშტაბიანი განთავსება. პრიორიტეტულ განვითარებას ჰპოვებენ ისეთი ოპერატიულ-სტრატეგიული კონცეფციები, როგორებიცაა: „საჰაერო-სახმელეთო ოპერაცია“, „ბრძოლა მეორე ეშელონთან“, „დარტყმები ზღვიდან“ და სხვები, რაც ძირითადად გამოიხატება ალიანსის სამხედრო ძალების სამშვიდობო და „მშვიდობის იძულების“ ოპერაციებში გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე (გავიხსენოთ თუნდაც ნატო-ს სამხედრო ოპერაცია ბალკანეთში).

ბ) სამხედრო-ტაქტიკური ასპექტი - განსაკუთრებულ ინტერესს კავკასიისადმი იჩენენ უშუალოდ ნატო-ს წევრ-ქვეყნებიც, რომელთაგანაც გამოსაყოფია - აშშ და თურქეთი. კავკასიისადმი თითქოს ნაკლები ინტერესის გამოვლენის საპირისპიროდ, 1999 წლის ივლისში პენტაგონმა მიიღო გადაწყვეტილება გაეზარდა აშშ-ს ევროპული სარდლობის (ბაზა შტუტგარში, გერმანია) პასუხისმგებლობის არეალი, რომლეიც სამხეთ კავკასიასაც მოიცავს. მის პარალელურად იმავე პერიოდში თურქეთის გენერალურმა შტაბმა მიიღო გადაწყვეტილება პენტაგონთან ერთად კავკასიის საკითხებზე ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. აქვე საყურადღებოა ერთ-ერთი თურქი სამხედრო პირის-გენერალ ჩ. ბირამის იდეა, რომელიც გულისხმობს ნატო-ს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბდეს ე.წ. „სპეციალური სამშვიდობო ძალები“ კავკასიის რეგიონში სამოქმედოდ, რომლებსაც მხარს დაუჭერენ შავი ზღვის აკვატორიაში მოქმედი სამხედრო-საზღვაო ფორმირებანი. ამ ინიციატივამ რაღა თქმა უნდა რუსეთის მწვავე რეაქცია გამოიწვია. ასე თუ ისე, ვაშინგტონსა და ანკარას გააჩნია გარკვეული სახის სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები რეგიონისადმი, რომლებიც უკავშირდებიან კასპიის ნავთობის რესურსების ათვისების პერსპექტივებს.

თუკი განვიხილავთ ნატო-ს მიბაძვას „ანაკონდას“ გეოსტრატეგიული კონცეფციის მიმართ, მაშინ გამოსაყოფია მისი წმინდა სამხედრო პარამეტრების არსებობა ბრიუსელის გეგმებში. ამ მხრივ გამოსაყოფია, რომ ნატო სამხრეთ კავკასიაში დარჩენილ ყოფილ საბჭოთა სამხედრო აეროდრომებს უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობს, რაც არაა გასაკვირი. სნორედ სამხედრო აეროდრომები და მათი ბეტონირებული ასაფრენ-დასაფრენი ზოლები წარმოადგენენ იმ ძირითად კოზირს, რომელიც საშუალებას იძლევა, უმოკლეს დროში მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით, ჰაერით გადასროლილ იქნეს მსხვილი საბრძოლო შენაერთები - როგორც საჰაერო-სადესანტო, ისე ქვეითი დანაყოფები თავისი საშტატო შეიარაღებით. ასეთი დაინტერესება სავსებით შეესაბამება ნატო-ს „მოქნილი რეაგირების სტრატეგიის“ ამოცანებს. ალიანსის წევრმა რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა, აგრეთვე საფრანგეთმა უკვე შექმნეს სწრაფი რეაგირების ძალები, რომელთა ოპერატიული გადასროლა დაშორებით მყოფ „ცხელ წერტილებში“ სწორედ ს-141, ს-5ა „გელაქსი“, ს-130, ს-17, ს-160 სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით უნდა განხორციელდეს. თურქეთის ტერიტორიაზე განთავსებულ ინჟირლიკის მსხვილ სამხედრო-საჰაერო ბაზას პენტაგონი უკვე რამდენიმე ათეული წელია თავისი ინტერესების მიხედვით იყენებს, მათ შორის ერაყის წინააღმდეგ მიმართული ოპერაციების განხორციელების დროსაც. ამასთანავე ინჟირლიკი ყოველთვის წარმოადგენდა იმ ძირითად სამხედრო-საჰაერო ბაზას, საიდანაც აფრენილ ნატო-ს საბრძოლო თვითმფრინავებს ომის დაწყების შემთხვევაში, პირველი საჰაერო დარტყმა უნდა მიეყენებინა საბჭოთა კავშირის სამხრეთი ფლანგისათვის - სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიისთვის. დღეს საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, რუსეთმა კავკასიის ქედის ჩრდილოეთით დაიხია, ამიტომაც ნატო-ს სურს თავისი ბაზებიც წინ წაანაცვლოს, რათა საბრძოლო თვითმფრინავების მოქმედების რადიუსი არ შემცირდეს. აქედან გამომდინარე, ნატო-ს პირდაპირი მისწრაფება ექნება დროთა განმავლობაში, თავისი ბაზები წინ წაანაცვლოს, რათა საბრძოლო თვითმფრინავების რადიუსი არ შემცირდეს. ამით ბრიუსელი ხელიდან არ გაუშვებს შანსს, რომ საბჭოთა იმპერიის შემკვიდრე - რუსეთი სამხრეთიდანაც არ მოაქციოს „ალყაში.“

გეოეკონომიკური ინტერესები: სწორედ კასპიისპირეთის ენერგომატარებლების ტრანსპორტირების აქტუალურობა გახდა მნიშვნელოვანი მომენტი ნატო-ს წევრ-ქვეყნებისა და ნაწილობრივ თვით ალიანსის, დაინტერესებისა კავკასიისადმი. ამ მხრივ გამოსაყოფია ნატო-ს საბრძოლო პოტენციალის შესაძლო გამოყენება სატრანსპორტო სტრატეგიული კომუნიკაციების დაცვის სფეროში. იგივე ენერგორესურსების დასავლეთში ტრანსპორტირების უსაფრთხოების მიზნით, კავკასია შეიძლება განიხილოს ნატო-ს „მოწინავე თავდაცვის“ სტრატეგიის მომცველ არეალადაც. ამავე დროს, მათ დაცვაზე სავარაუდოა იზრუნონ არა მარტო ალიანსის წევრებმა, არამედ ევროატლანტიკური პარტნიორობის სივრცეში მონაწილე ქვეყნებმაც. მის მაგალითებისახეზეა, კერძოდ, 1998 წლის ივნისში ჩატარად ქართულ-თურქული ერთობლივი სამხედრო-საზღვაო წვრთნები სახელწოდებით: „კავკასიური ამაზონია-98“, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ ორივე ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების წარმომადგენლები. წვრთნების ძირითად მიზანს შეადგენდა ურთიერთკორდინაციის გამომუშავება იმ ხომალდების ბლოკირებისა და

თანხლება, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ ნავთობის ტრანსპორტირებას დასავლეთში. ნატო ყურადღებით აქცევს კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების არასამხედრო ასპექტებსაც, რომლებიც დაკავშირებულია კასპიის ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების საკითხებთან. მაგალითად: 1999 წლის 14-15 ოქტომბერს გუდაურში ნატო-ს თანამედროვე საზოგადოების საფრთხეების კომიტეტის ეგიდით ჩატარდა საერთაშორისო სემინარი: „ნავთობსადენის გარემოსდაცვითი უსაფრთხოება საქართველოში“, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ კავკასიის სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებიც.

გეოსოციალური ინტერესები: პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნილმა რთულმა სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ გამოიწვია ევროპისათვის მანამდე არარსებული მწვავე პრობლემის - მიგრაციული ბუმის გაჩენა, რომელიც უკავშირდება ისეთ ნეგატიურ მოვლენებს, როგორიცაა: ტრანსრეგიონალური ორგანიზაციული დანაშაულობანი, არალეგალური მიგრანტები, პროსტიტუცია, ნარკოტიკებით და იარაღით უკანონო ვაჭრობა, ანუ ისეთი ექსცენტრული პროცესები, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას ევროპული ცივილიზაციას. ამასთან ერთად, ბევრ შემთხვევაში კონფლიქტურ კერებში არსებული მდგომარეობა იწვევს ისეთ მძიმე სოციალურ ფენომენს, რომელსაც ეწოდება „ჰუმანიტარული კატასტროფა“ ან „ჰუმანიტარული კრიზისი.“ სწორედ მათი გადაწყვეტის ყველაზე ძლიერი სირთულე იგემეს ნატო-ს შეიარაღებულმა ძალებმა და რომელიც გახდა ბრიუსელისათვის ერთ-ერთი მძიმე „თავსატეხი“ (გავიხსენოთ თუნდაც ალიანსის მონაწილეობა კოსოვოს კონფლიქტში). ამიტომაც იყო, რომ ჩეჩნეთში დატრიალებულმა საომარმა მოქმედებებმა ბრიუსელის საკმაოდ დიდი ყურადღება დაიმსახურეს. აქედან გამომდინარე, კავკასიის „პოტენციალი“ ამ მხრივ ნატო-ს გარკვეულ ფხიზელ რეაქციას იწვევს განსაკუთრებით ამ ბოლო პერიოდში.

საქართველო-ნატო-ს ურთიერთობათა პოლიტიკური ასპექტები

საქართველოსათვის ნატო-სთან თანამშრომლობა პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. საქართველომ იმთავითვე მართებულად აიღო კურსი ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ, როცა 1992 წელს ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში შევიდა, 1994 წელს ნატო-ს პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ შეუერთდა, ხოლო 1997 წელს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს წევრი გახდა.

უკვე მეხუთე წელია ნატოსთან „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში საკუთარი ინდივიდუალური პროგრამით ვთანამშრომლობთ, რაც უსაფრთხოების ევროპული ფასეულობების შეთვისებას, საქართველოს უსაფრხთოების სისტემის აღმშენებლობას ემსახურება. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ორჯერ ესტუმრა ნატო-ს გენერალური მდივანი - 1997 წლის თებერვალსა და 1998 წლის სექტემბერში.

თვალს თუ გადავავლებთ საქართველოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილეობას, აშკარაა ქვეყანა თანდათან უფრო აქტიურად, მიზანმიმართულად მონაწილეობს პროგრამაში და უკვე თავადაც მასპინძლობს ნატო-ს ეგიდით მრავალ ღონისძიებას.

1996 წელს საქართველომ მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 20 ღონისძიებაში.

1997 წელს დაგეგმილი 96 ღონისძიებიდან საქართველო 70 ღონისძიებაში მონაწილეობდა. ამ წელს ქვეყანამ რამდენიმე ღონისძიებას თავად უმასპინძლა. კერძოდ, ესენი იყო ქართულ-ამერიკული სამხედრო-საინჟინრო ვარჯიში „ქორნერსთოუნ 97“, რაც იმაშიც მდგომარეობდა, რომ ამერიკელმა სამხედროებმა ქართველ სამხედროებთან ერთად გაარემონტეს ბავშვთა საავადმყოფოს სარეანიმაციო განყოფილება და აგრეთვე წყნეთის უპატრონო ბავშვთა სახლი; ასევე, ნატო-ს სამოქალაქო თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტის მიერ გამართული „საგანგებო სიტუაციებში სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის რეგიონალური კურსი.“

უნდა აღინიშნოს, რომ 1998 წელს საქართველომ ხარისხობრივად გააუმჯობესა პროგრამაში მონაწილეობა. ქვეყანამ 120 ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, რომელთა შორის 10 მრავალეროვნულ ვარჯიშში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ღონისძიება საქართველოში ჩატარდა და საკმაოდ წარმატებითაც. ესენია: ნატო-ს სახმელეთო ჯგუფის გასვლითი შეხვედრა; „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ფარგლებში „განაღმვისა და ხიდების კლასიფიკაციის“ სემინარი; ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ეგიდით სემინარი „კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის პრაქტიკული მიმართულებები“. ეს უკანასკნელი კარგ საფუძველს იძლევა სამომავლოდ თანამშრომლობის ცენტრის საქართველოში გადმოსატანად; აღსანიშნავია საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს (პროგრამების ანალიზისა და შეფასების სამსახური) ინიციატივით ჩატარებული სემინარი თემაზე: „თავდაცვის რესურსების მართვის სისტემა“. ღონისძიების მიზანი იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების რეფორმების პროცესის გაუმჯობესება და შემდგომი წარმართვა.

1999 წელს ქვეყანამ მონაწილეობა მიიღო 140-მდე ღონისძიებაში. მათგან, ერთი ღონისძიება, კერძოდ, სემინარი თემაზე „ნავთობსადენის ეკოლოგიური უსაფრთხოება“, ჩატარდა საქართველოში. ქვედანაყოფის დონეზე საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მონაწილეობა მიიღო ოთხ ვარჯიშში, ხოლო შტაბის ოფიცრების დონეზე 10 ვარჯიშში.

2000 წელს საქართველოში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების ჩატარება:სემინარი თემაზე „თავდაცვის ბიუჯეტის ეკონომიკური ასპექტები გარდამავალ ქვეყნებში“ და სამხედრო-სამედიცინო წვრთნა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის სულისკვეთებით „მედქეარ-2000“-ის (MedCare-2000).

ბოლო პერიოდში საქართველო-ნატოს ურთიერთობების განვითარების საქმეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა თბილისში პოლიტიკურ საკითხებში ნატო-ს გენერალური მდივნის თანაშემწის ბატონ პიტერ-კლაუს კლაიბერის ოფიციალური ვიზიტი 2000 წლი 21-22 იანვარს. ვიზიტს ჰქონდა განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოსათვის, რომლის დამაგვირგვინებელ მოვლენას წარმოადგენდა 2000 წლის 26-27 სეტქმებერს თვით ნატო-ს გენერალური მდივნის ლორდ ჯორჯ რობერტსონის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში.

ჩვენი თანამშრომლობა ნატოსთან თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა, გასულ წელს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის „დაგეგმვისა და ანალიზის პროცესში“ ანუ როგორც შემოკლებით უწოდებენ პარპ-ში (Planning and Review Process - PARP) ჩართვით, რაც ნატო-ს შეიარაღებულ ძალებთან თავსებადობის მიღწევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს და რომლის საბოლოო მიზანია ჩვენი თავდაცვის სისტემის დასავლურ მოდელზე გადაყვანა.

პარპ-ში საქართველოს მხარის ჩართვა, შესაძლოა, საქართველოს შეიარაღებული ძალების სამომავლო პერსპექტივების ამოსავალ წერტილად მივიჩნიოთ. ჩვენი მონაწილეობა აღნიშნულ პროცესში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში უაღრესად რადიკალური და სასიკეთო ძვრების წინაპირობაა. სწორედ დაგეგმვისა და ანალიზის პროცესშია ასახული ის უმთავრესი პრიორიტეტები და შესაძლებლობანი, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ალიანსისკენ მიმავალ გზაზე არსებული მრავალი სირთულის გადალახვა.

პარპ-ის საპრეზენტაციო დოკუმენტის თანახმად, საქართველოს თავსებადობის 25 მიზნის შესრულებაზე მუშაობს. ამასთან, დოკუმენტში საქართველოს განცხადებული აქვს მსუბუქ ქვეითთა ერთი ბატალიონი (იგულისხმება კოჯრის სასწავლო ცენტრი), რომლის ერთი ოცეული მზად უნდა ყოფილიყო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად 1999 წლის დასასრულისათვის, რაც პრაქტიკულად განხორციელდა და ამით პარპ-ის პირველი საფეხური რეალურად იქნა დაძლეული. ქართული ოცეულის კოსოვოში გაგზავნა ნატო-სთან საქართველოს შეიარაღებული ძალების თავსებადობის მიღწევის საქმეში გადადგმული უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯია. სწორედ ეს აზრი შეიძლება ჩაითვალოს პარპ-ის რეალიზაციის პროცესის ათვლის წერტილად.

2000 წლის დასასრულისათვის ერთი ასეული და ერთი საინჟინრო გაძლიერებული ოცეული მზად უნდა იყოს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო 2002 წლის დასაწყისისათვის ბატალიონმა მთლიანად უნდა მიაღწიოს თავსებადობის განსაზღვრულ 25-ვე მიზანს.

აღნიშნული ამოცანების შესრულების შედეგად ჩამოყალიბდება ნატო-ს პირველი ქართული სამშვიდობო შენაერთი, რომელიც გარკვეულ ასპექტებში თავსებადი იქნება ნატო-ს სტანდარტებთან (შემდგომში ანალოგიური ფუნქციის ბრიგადის შექმნის პერსპექტივით).

წელს იწყება პარპ-ის ახალი ციკლი, რაც თავსებადობის მიზნების საპარტნიორო ამოცანებად შეცვლას ითვალისწინებს. საპარტნიორო ამოცანები უფრო დაწვრილებითი ხასიათისაა და უფრო მომთხოვნია საქართველოს შეიარაღებული ძალების მიმართ, ნატო-მ უკვე შეიმუშავა საპარტნიორო ამოცანების პროექტი საქართველოსთვის. მათი განხილვა მოხდება თბილისში ა.წ. აპრილში ნატოელ კოლეგებთან ერთად, ხოლო საბოლოოდ მაისში დამტკიცდება. ამგვარად მიღწეული თავსებადობით საქართველო შეძლებს სრულფასოვანი გახადოს თავისი მონაწილეობა ნატო-ს ხელმძღვანელობით განხორციელებულ სამშვიდობო ოპერაციებში.

შეიძლება ითქვას, რომ უკვე მივიღეთ ნატო-სთან პოლიტიკური თანამშრომლობის საკმაოდ დადებითი პრაქტიკული შედეგი: ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოში 1999 წლის ივლისში საქართველოს ინიციატივის საფუძველზე შეიქმნა „კავკასიის სპეციალური ლია სამუშაო ჯგუფი“, რომელშიც საქართველოსთან ერთად აზერბაიჯანი და სომხეთი გაერთიანდა. ამიერიდან ევროატლანტიკურ სტრუქტურებში კავკასიის პრობლემატიკა მუდმივი განხილვის საგანი გახდება და დროთა განმავლობაში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებასაც უნდა ველოდოთ.

საქართველო ასევე დაინტერესებულია ვაშინგტონის აპრილის სამიტზე მიღებული „გაწვრთნების სამოქმედო გეგმით“ (MAP), რაც აუცილებელი პირობაა ნატო-ში გასაწევრიანებლად. მასში აქტიურად ჩართვა ქართულ მხარეს მისცემს საშუალებას მიიღოს ნატო-ში „გაწევრიანების მსურველის“ (ასპირანტი ქვეყნის) პოლიტიკური სტატუსი და გადადგას პირველი ნაბიჯები ევროატლანტიკურ სივრცეში რეალური ინტეგრირების საქმეში, მით უფრო, როდესაც

საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ ერთ-ერთ თავის ინტერვიუში განაცხადა:„2005 წლისათვის ჩვენ ნატო-ს კარს მივუკაკუნებთ.“

საქართველოსათვის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირება, კონკრეტულად ნატო-ში შესვლა, წარმოადგენს თავისებურ ალტერნატივას „რუსული“ ჰეგემონოგისაგან თავდაცვის და მისი ინტერესების დაბალანსების საქმეში (თუნდაც იგივე კავკასიის რეგიონში); მეორე მხრივ, ნატო-ში გაწევრიანება საქართველოს დაეხმარება არანაკლებ საშიში მოვლენის, რომლის მასშტაბებიც საერთაშორისო დონეს აღწევს, რადიკალური ისლამის სამხედრო აგრესიის მოგერიებაში.

როგორც ცნობილია, ამა წლის 25-28 აპრილს ქ. ფოთში გაიმართა ნატო-ს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში მრავალეროვნული, ფართომასშტაბიანი საზღვაო-სახმელეთო სამშვიდობო წვრთნის „Cooperative Partner-2001“ საბოლოო დაგეგმარების კონფერენცია, სადაც მონაწილეობა მიიღეს ნატო-სა და პარტნიორი ქვეყნების 76-მა წარმომადგენელმა. აქვე დაზუსტდა წვრთნების საბოლოო ვადები:2001 წლის 10 ივნისიდან 23 ივნისის ჩათვლით. წვრთნა ჩატარდა საქართველოს ტერიტორიაზე ქ. ფოთის და მერიის აეროპორტის მიდამოებში. აღნიშნული ვარჯიში იყო პირველი ფართომასშტაბიანი სწავლება კავკასიაში, რომელშიც მიიღეს მონაწილეობა ნატო-ს და პარტნიორი ქვეყნების ქვედანაყოფებმა, საბრძოლო და საკრანსპორტო ხომალდებმა. სწავლების სცენარი დაფუძნებული იყო ფართომასშტაბიანი ჰუმანიტარული ოპერაციების დროს მრავალეროვნული სამშვიდობო ძალების სამხედრო-საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ქვედანაყოფების ერთობლივ მოქმედებაზე. ამ წვრთნას გააჩნდა უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ალიანსთან შემდგომი პარტნიორობის განვითარების საქმეში.

წვრთნა დაიგეგმა ნატო-ს ევროპული ძალების სამხრეთის სარდლობის მიერ. 2001 წელს აღნიშნულ წვრთნაში მონაწილეობა მიიღეს:

ნატო-ს ქვეყნებიდან:აშშ, საფრანგეთი, თურქეთი, საბერძნეთი, იტალია და თვით ნატო-ს სამხედრო შენაერთები;

პარტნიორი ქვეყნებიდან:აზერბაიჯანი, ბულგარეთი, რუმინეთი, საქართველო, უკრაინა და შვედეთი (მონაწილეობდა პირველად).

სწავლებაში მონაწილეობდა სხვადასხვა კლასის დაახლოებით 29 საზღვაო ხომალდი, 15-მდე საბრძოლო და სატრანსპორტო საჰაერო ერთეული და საზღვაო ქვეითთა ქვედანაყოფები (12 „ფალკონეს“ ტიპის გამანადგურებელი, 2 წყალქვეშა ნავი, 2 სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი, 3 კორვეტი, საზღვაო ქვეითთა 4 ასეული, 6 ოცეული, სპეცდანიშნულების 2 ასეული და ა.შ-ს საზღვაო მედესანტეთა სპეცდანიშნულების 1 ოცეული და ა.შ.). სწავლებას უხელმძღვანელებს მრავალეროვნული შტაბი ნატო-სა და პარტნიორი ქვეყნების ნატო-ს ოფიცრების ერთობლივი მონაწილეობით, რომელიც განლაგდება ქ. ფოთის სამხედრო კომისარიატის შენობაში. სულ სწავლებაში დაკავებულ იქნა 4300-მდე სამხედრო მოსამსახურე (აქედან ნაპირზე განლაგდა დაახლოებით 1310 კაცი - მალთაყვას გამაჯანსაღებელი კომპლექსის ტერიტორია და ქ. ფოთის აეროპორტი). ეს წვრთნა ყველაზე დიდი და მსხვილმასშტაბიანი იყო აქამდე ჩატარებულ „კოოპერატივ პარტნერის“ წვრთნებს შორის.

„კოოპერატივ პარტნერ 2001“-ის წვრთნები ჩატარდა 5 ფაზად:

1. მონაწილეთა ჩამოსვლა და საკოორდინაციო კონფერენცია;

2. სამუშაო სემინარები და პირადი შემადგენლობის პრაქტიკული ვარჯიშები, სწავლების მომზადების მიზნით;

3. წვრთნის ძირითადი ნაწილის განხორციელება და საჩვენებელი ღონისძიებების ჩატარება საზოგადოებისათვის;

4. საპატიო სტუმართა დღე;

5. წვრთნების დახურვის ცერემონიალი და მონაწილეთა გამგზავრება.

ვარჯიშის ჩატარებამდე გაიმართა ვარ-

შესაძლებელი გახდება ისეთი სახის ნახევრად-სამხედრო და არასამხედრო საფრთხეებთან „შერკინება“ და მათი სავარაუდო შედეგების აღმოფხვრა, როგორებიცაა: ტერორიზმი, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნოლოგიების უკანონო გადაადგილება, ნარკოგიზნესი, ორგანიზებული დანაშაულების ძალები და საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაცია.

ჯიშის ორი წინასწარი დაგეგმარების კონფერენცია (ქ. ნეაპოლში 2000 წლის 13-15 ნოემბერს და დაბა ტაბახმელაში 2001 წლის 6-8 თებერვალს), ორი ექსპერტთა (2000 წლის 23-28 სექტემბერს და იმავე წლის 6-10 დეკემბერს) ვიზიტი საქარ-

თველოში წვრთნების ადგილის შერჩევასთან დაკავშირებით და საბოლოო დაგეგმარების კონფერენცია ამა წლის 25-28 აპრილს ქ. ფოთში.

ზოგად პერსპექტივაში საქართველოს დაინტერესება ნატო-ში გაწევრიანების მიზნით შეიძლება გამოიხატოს შემდეგნაირად:

კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოგვარებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა ექნება ევროპის სამხრეთ რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების დამყარებისათვის.

გეოსტრატეგიული ფაქტორი: საქართველოსათვის ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირება, კონკრეტულად ნატო-ში შესვლა წარმოადგენს თავისებურ ალტერნატივას „რუსული" ჰეგემონობისაგან თავდაცვის და მისი ინტერესების დაბალანსების საქმეში (თუნდაც იგივე კავკასიის რეგიონში); მეორე მხრივ, ნატო-ში გაწევრიანება საქართველოს დაეხმარება არანაკლებ საშიში გამოვლენის, რომლის მასშტაბებიც საერთაშორისო დონეს აღწევს, რადიკალური ისლამის სამხედრო აგრესიის მოგერიებაში (მაგალითად, ცნობილმა ტერორისტმა უსამა ბენ ლადენმა საქართველო, ისევე როგორც მთელი კავკასია, მოაქცია თავისი „მითიური" ისლამური სახელმწიფოს ფარგლებში). ამავე დროს, მოხერხდება ისეთი სახის ნახევრად-სამხედრო და არასამხედრო საფრთხეებთან „შერკინება" და მათი სავარაუდო შედეგების აღმოფხვრა, როგორებიცაა: ტერორიზმი, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნოლოგიების უკანონო გადაადგილება, ნარკობიზნესი, ორგანიზებული დანაშაულების ქსელები და საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაცია.

„ცივილიზაციური" ფაქტორი: ალიანსში გაწევრიანება საქართველოსათვის რეალურ საფუძველს შექმნის ევროატლანტიკურ სივრცეში სრულად ინტეგრირებისათვის. მასში მონაწილეობა კიდევ უფრო განამტკიცებს „ევროპელის" სტატუსის აღქმას ქართულ საზოგადოებაში და ევროპულ ცივილიზაციასთან ცხოვრების წესსა და სტანდარტებთან ეტაპობრივ ადაპტირებას. მას თან მოჰყვება ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესების პერსპექტივების გამოჩენა. ფაქტიურად ნატო იქნება საერთო-ევროპულ პროცესებში ჩართვის მესამე ეტაპი (პირველს შეადგენდა საქართველოს გაწევრიანება ეუთო-ში 1992 წელს და მეორეს კი ევროპის საბჭოში საქართველოს მიღება 1999 წლის იანვარში);

პოლიტიკური ფაქტორი: ალიანსში გაწევრიანება ხელს შეუწყობს დემოკრატიული ფასეულობების განვითარებას ჩვენს სახელმწიფოში და სტიმულს მისცემს მათ რეალურ დამკვიდრების პროცესს. გარკვეულწილად გაწევრიანების წინა მოსამზადებელ პერიოდის განმავლობაში შეიქმნა მოტივაციური ფონი სახელმწიფოს ფარგლებში არსებული კონფლიქტების საბოლოოდ მოგვარების საქმეში (ვინაიდან შიდაკონფლიქტების დარეგულირების საკითხი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს ნატო-ში გაწევრიანებისათვის და ეს, შესაბამისად, არის ასახული „გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში"). მეორე მხრივ, ნატო-ში წევრობა საუკეთესო საშუალება იქნება ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გარანტიის მიღებაში (მათ შორის მეზობელი სახელმწიფოებისაგან შესაძლო ტერიტორიული პრეტენზიების არდაფიქსირების საკითხშიც). ძთლიანად ქართული საზოგადოების პოზიტიური განწყობა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მიმართ შეადგენს სწორედ ერთ-ერთ უმთავრეს გარემოებას გაწევრიანებისათვის აუცილებელი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების საქმეში.

* * *

კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესები განსაკუთრებული დინამიურობით გამოირჩევა. რეგიონული თანამშრომლობის იდეის განხორციელების მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორი დღეს კავკასიაში არსებული კონფლიქტებია და ის მწვავე სოციალურ-ეკონომიკური ფონი, რომელიც აქ არსებობს. კავკასიაში მიმდინარე მოვლენები უკვე ამ ეტაპზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ მსოფლიო ტრანსნრეგიონალურ პროცესებზე, მათ შორის ევროატლანტიკურ სივრცეში არსებულ მდგომარეობაზე. ამიტომ მნიშვნელოვანი უნდა იყოს ნატო-სა და მთელი დასავლეთისათვის უსაფრთხო და სტაბილური „ზურგის" შექმნა კავკასიაში. კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოგვარებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა ექნება

ახალი საუკუნის დასაწყისმა სრულიად ახალი იდეებისა და გადაწყვეტილებების ძიება დააჩქარა დღის წესრიგში. ახალი სახელმწიფოს შექმნა და მისი უსაფრთხოების სწორი მოდელის ჩამოყალიბება ყოველთვის ისტორიული პროცესის შედეგია.

ევროპის სამხრეთ რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების დამყარებისათვის, ამ კონტექსტში აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ერთ-ერთ მთავარ საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში აქტიური

ინტეგრირება წარმოადგენს, რომელიც მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდება. ამასთან ერთად, ახალი საუკუნის დასაწყისმა სრულიად ახალი იდეებისა და გადაწყვეტილებების ძიება დააყენა დღის წესრიგში. ახალი სახელმწიფოს შექმნა და მისი უსაფრთხოების სწორი მოდელის ჩამოყალიბება ყოველთვის ისტორიული პროცესის შედეგია.

დამატება I

თავდაცვის შესაძლებლობათა შესახებ ინიციატივა (Defence Capabilities Initiative)

ნატო-ს ვაშინგტონის უმაღლესი დონის სამიტზე მიღებულ იქნა თავდაცვის შესაძლებლობათა შესახებ ინიციატივა. მისი მიზანია ალიანსის თავდაცვის შესაძლებლობათა გაუმჯობესება მომავალი მრავალეროვანი ოპერაციების ეფექტურად ჩატარებისა და მოქნილი საბრძოლო ურთიერთქმედების მისაღწევად. ასეთი სახის ურთიერთობები შეიძლება წარმოებდეს ალიანსის წევრებს და ასევე ალიანსისა და პარტნიორ ქვეყნებს შორის.

ნატო-ს ახალი სტრატეგიული კონცეფციის თანახმად, ალიანსმა უნდა შეინარჩუნოს სათანადო დონეზე საბრძოლო შესაძლებლობანი, რათა მოიგერიოს მსხვილმასშტაბიანი აგრესია კოალიციის ერთი ან მეტი წევრის წინააღმდეგ, თუმცა ასეთი მოვლენების განვითარების პერსპექტივა მომავალში ძალზედ მინიმალურია. ალიანსის უსაფრთხოებისათვის სავარაუდო საფრთხეებს შეადგენენ რეგიონალური კონფლიქტები, ეთნიკური შეიარაღებული დაპირისპირებანი და სხვა კრიზისების განვითარება ალიანსის პასუხისმგებლობის ტერიტორიის მიღმა, ისევე როგორც მასობრივი განადგურების იარაღისა და მათი გადატანის საშუალებათა გავრცელება.

ალიანსის მომავალი სამხედრო ოპერაციები, მათ შორის მე-5 მუხლით გაუთვალისწინებელი კრიზისზე რეაგირების ოპერაციები, სავარაუდოდ უფრო მცირე ინტენსივობის იქნება ვიდრე „ცივი ომის" პერიოდში. ისინი შეიძლება დროში გაიჭიმოს და მრავალეროვნული თანამშრომლობის გაფართოება მოითხოვოს დაბალი რგოლის დონეებზეც. ზოგ შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს პარტნიორი ქვეყნებისა და სხვა არა მოკავშირე სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების ჩართვაც. ამავე ინიციატივის ფარგლებში ცხადია ის გარემოებაც, რომ ალიანსის პასუხისმგებლობის გარეთ მყოფ ტერიტორიაზე მიმდინარე ოპერაციებში შეზღუდული მასშტაბებით იქნება შესაძლებელი ნატო-ს არსებული სამხედრო ინფრასტრუქტურის გამოყენება. სამართლებრივად რთულ მოვლენას წარმოადგენს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე სამოქალაქო ქონების გამოყენება სამხედრო ამოცანების შესრულებისათვის. ამიტომაც ალიანსის შეიარაღებული ძალებისათვის მნიშვნელოვანია სამხედრო შესაძლებლობათა ახალ რეალიებთან მორგება და ასეთი კრიზისების გადაჭრისას საბრძოლო ურთიერთქმედების პრინციპების თვისობრივად ახლებურად აგება. ამდენად, ეროვნული თავდაცვითი სტრუქტურების დიფერენციაციის მიუხედავად, ყველა სახელმწიფოს უნდა შეეძლოს გარკვეული წვლილის შეტანა ალიანსის მისიების შესრულებაში.

ახალი ევროპული უსაფრთხოების სისტემის რეალიების გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ალიანსის ძალების სწრაფ და ოპერატიულ განთავსებას პასუხისმგებლობის ზონის გარეთ მყოფ ტერიტორიებზე და მათთვის ბრძოლისუნარიანი პირობების შექმნას დისლოკაციის ბაზებისაგან მოშორებით (მაგ., ნატო-ს ძალების განთავსება ალბანეთის ტერიტორიაზე სამშვიდობო ოპერაციებში მისაღებად). საქმე ეხება ნატო-ს ძალების გადასროლისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებებს, მათ შორის სამოქალაქო დანიშნულების, და განთავსებისათვის აუცილებელი სათანადო ინფრასტრუქტურებს, რაც საშუალებას მისცემს ურთიერთქმედების გაუმჯობესებას და აუცილებელი შესაძლებლობების განვითარებას. ამ კონტექსტში, თავდაცვის შესაძლებლობათა შესახებ ინიციატივაში გამოყოფილია შემდეგი საკითხები:

1. სამეთაურო და საბრძოლო კონტროლის სისტემების მოდერნიზირება და ახალ რეალიებთან მისადაგება;
2. საინფორმაციო სისტემის და ინფორმაციული ურთიერთგაცვლის პირობების გაუმჯობესება;
3. განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება ჰუმანურ ფაქტორებსა (დოქტრინები, წვრთნები და ოპერაციების დაგეგმვა) და სტანდარტიზაციაზე;
4. თავდაცვის დაგეგმარების სფეროში უკეთესი კოორდინაციის მიზნით რესურსების ეფექტური ათვისება;
5. ალიანსის ევროპული მოკავშირეების საბრძოლო პოტენციალის გათვალისწინება დასავლეთ ევროპის თავდაცვითი კავშირის ეგიდით განხორციელებულ ოპერაციებში.

აღნიშნული ინიციატივის განხორციელების მიზნით ვაშინგტონის სამიტზე ჩამოყალიბდა უმაღლესი დონის სამუშაო ჯგუფი (High Level Steering Group). ამ ჯგუფს უხელმძღვანელებს ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე. მისი საქმიანობის პერიოდი განისაზღვრა ორი წლის ვადით.

დასასრული II

გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP)

1999 წლის 23-24 აპრილს გამართულ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრაზე მიღებულ „გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში“ (MAP) განსაზღვრულია ის კონკრეტული სფეროები, ზოგადი კრიტერიუმების ნუსხა და მათი აღსრულების მექანიზმები, რომლის მიხედვითაც განხორციელდება ნებისმიერი მსურველი ქვეყნის ალიანსში გაწევრიანებისათვის მზადყოფნის დადგენა (ნატო-ს ტერმინოლოგიით „ასპირანტი“ ქვეყანა). დოკუმენტში გამოყოფილია ხუთი ასეთი სფერო:

1. პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები;
2. თავდაცვის და სამხედრო საკითხები;
3. რესურსების მართვის საკითხები;
4. საინფორმაციო უშიშროების საკითხები;
5. სამართლებრივი საკითხები;

პირველ სფეროში - „პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები“ - ასპირანტ ქვეყანას სთავაზობენ, სათანადო მოვალეობებსა და ვალდებულებათა თაობაზე დისკუსიები წარმართოს ვაშინგტონის 1949 წლის 4 აპრილის ხელშეკრულების და „ნატოს-ს გაფართოების შესახებ გამოკვლევის“ დოკუმენტის შესაბამისი პირობების გათვალისწინებით. მომავალ წევრებს მოეთხოვებათ ვაშინგტონის ხელშეკრულების პრეამბულაში ნახსენები ძირითადი პრინციპების ერთგულება (დემოკრატია, პიროვნების თავისუფლება და ა.შ.) და ასევე შემდეგი პოლიტიკური და ეკონომიკური სახის პირობები:

· საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი საშუალებების მეშვეობით მოგვარება;

· სამართლის და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებისადმი განუხრელი სწრაფვა;

· ეთნიკური კონფლიქტების ან საგარეო ტერიტორიული კონფლიქტების, მათ შორის ირედენტისტული სახის მოთხოვნების ან ეუთო-ს პრინციპების შესაბამისად საშინაო კონსტიტუციური და სამართლებრივი დისპუტების მშვიდობიანი საშუალებებით მოგვარება და კეთილმეზობლურ ურთიერთობათა პოლიტიკის გატარება;

· სათანადო დემოკრატიული და სამოქალაქო კონტროლის დამყარება ეროვნულ შეირაღებულ ძალებზე;

· გაერო-ს მიზნებისათვის შეუთავსებელი ძალის დემონსტრირების ან გამოყენების ქმედებისაგან თავის შეკავება;

· მშვიდობიანი და მეგობრული საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების საქმეში გარკვეული წვლილის შეტანა ქვეყნის დამოუკიდებელი ინსტიტუტების გამყარების და შიდა სტაბილურობის და კეთილდღეობის გაუმჯობესების მეშვეობით;

· ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის საქმიანობებში სრული მონაწილეობა;

· ეკონომიკური თავისუფლების, სოციალური სამართლიანობის და ეკოლოგიური პასუხისმგებლობის მეშვეობით სტაბილურობის და კეთილდღეობის პირობების ხელშეწყობა და ამ კურსის განუხრელობის წარმოჩენა.

ამას გარდა, „ასპირანტი“ ქვეყნის მიმართ ზოგადი უსაფრთხოების მოთხოვნებიდან აღსანიშნავია:

· კოლექტიური უსაფრთხოების და მშვიდობისა და სტაბილურობისადმი ძალისხმევათა ერთიანობა;

· ნებისმიერ საკითხზე კონსენსუსის უნარისა და კეთილმოსურნეობის გამოვლენა;

· ალიანსის ეფექტიანობის შენარჩუნება მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის, ხარჯების და სარგებლის განაწილების მეშვეობით;

· პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხებში ალიანსის კონსულტაციებსა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში სრული მონაწილეობის მიღება;

· ალიანსის მიერ განხორციელებული "ღია კარის" პოლიტიკის მხარდაჭერა, ვაშინგტონის ხელშეკრულების, მადრიდის და ვაშინგტონის სამიტის დეკლარაციების სულისკვეთებიდან გამომდინარე.

აღნიშნულ სფეროში გამოყოფილი მოთხოვნათა განხორციელების მექანიზმში ნაჩვენებია მათი შესრულების კონკრეტული სახის პროცედურები. კერძოდ, „ასპირანტ“ ქვეყანას მოეთხოვება თავისი პოლიტიკური და პრაქტიკული ნაბიჯების აღწერა იმ კრიტერიუმების შესრულების საქმეში, რომელიც ზემოთ არის ჩამოთვლილი. მათი ხედვა და ალიანსში გაწევრიანებისაკენ მისწრაფება შესაბამისობაში უნდა იყოს ნატო-ს ისეთ დოკუმენტებთან, როგორიცაა:ნატო-ს სტრატეგიული კონცეფცია, ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის ერთიანობის განვითარება ალიანსის შიგნით (ESDI), ნატო-რუსეთის სადამფუძნებლო აქტი და ნატო-უკრაინას შორის გაფორმებული ქარტია. „ასპირანტმა“ ქვეყანამ ყოველ წელს უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ქვეყნის ეკონომიკის თაობაზე, კერძოდ მაკროეკონომიკური და საბიუჯეტო მონაცემები და ასევე ინფორმაცია ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების პერსპექტივების შესახებ.

„ასპირანტ“ ქვეყანას ცალკე საკითხად მოეთხოვება ნატო-ს სამუშაო ჯგუფს მიწოდოს წერილობითი სახის დოკუმენტი ზემოთ აღნიშნული მომენტების გათვალისწინებით. ეს დოკუმენტი შემდგომში უშუალოდ წარედგინება ალიანსის წევრ-ქვეყნებს მათი განხილვის მიზნით. ალიანსის შიგნით სათანადო კონსულტაციების ჩატარების შემდეგ, ნატო-ს სამუშაო ჯგუფი „ასპირანტი“ ქვეყნის წარმომადგენლებთან გამართავს საკონსულტაციო სახის შეხვედრას შესაბამისი პოლიტიკური საკითხების და დოკუმენტში მოხსენიებული ინფორმაციის განხილვის მიზნით. დამატებითი შეხვედრები ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შედგეს. ჩატარდება ნატო-ს უმაღლესი პოლიტიკური კომიტეტის გაფართოებული (Senior Political Committee (Reinforced)) წლიური შეხვედრა, რომელზეც ალიანსის წევრები განიხილავენ „ასპირანტი“ ქვეყნების შედეგებს.

მეორე სფეროში - თავდაცვისა და სამხედრო საკითხები - გამოხატულია აზრი, რომ გაწევრიანების მსურველი ქვეყნის მისწრაფება თავისი წვლილი შეიტანოს ალიანსის სამხედრო პოტენციალის განვითარების, ახალი ამოცანების დასახვის და კოლექტიური უსაფრთხოების გაძლიერების საქმეში, ჩაითვლება განმსაზღვრელ ფაქტორად ნატო-ში შესვლისათვის. სრული მონაწილეობა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ეგიდით წარმოებულ ოპერაციებში ითვლება გაწევრიანების მნიშვნელოვან კომპონენტად, რადგანაც ამით კიდევ უფრო გაძლიერდება „ასპირანტი“ ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო კავშირები ალიანსთან. ახალი წევრები მზად უნდა იყვნენ ასევე გაიზიარონ საერთო უსაფრთხოებასთან და კოლექტიურ თავდაცვასთან დაკავშირებული რისკები, პასუხისმგებლობანი, სარგებელი თუ ხარჯები. მათ მოეთხოვებათ ალიანსის სტრატეგიის მიღება ისე, როგორც ეს განსაზღვრულია სტრატეგიულ კონცეფციასა და მინისტერიალების ფარგლებში მიღებულ განცხადებებში.

კონკრეტულად, „ასპირანტი“ ქვეყანას ალიანსში მიღების პერიოდში მოეთხოვება:

· იზიარებდეს სტრატეგიულ კონცეფციაში განსაზღვრულ დამოკიდებულებას უსაფრთხოების პრინციპებისადმი;

· კოლექტიური თავდაცვისა და ალიანსის სხვა მისიების შესრულებისათვის სათანადო შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო შესაძლებლობათა გამოყოფა;

· შეძლების დაგვარად, მონაწილეობის მიღება ალიანსის სამხედრო სტრუქტურებში;

· შეძლებისდაგვარად, ალიანსის კოლექტიური თავდაცვის დაგეგმარების პროცესში მონაწილეობის მიღება;

· „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის მხარდაჭერა და ნატო-ს პარტნიორ ქვეყნებთან პარტნიორულ ურთიერთობათა განვითარება;

· სტანდარტიზაციისა და თავსებადობის პროცესების განვითარება.

ამ სფეროში განსაზღვრული საკითხების განმახორციელებელ მექანიზმებად შერჩეულია „ასპირანტი“ ქვეყნის მიერ არსებული „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის პროცედურების შესაბამისად ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის შემუშავება, სადაც ყურადღება უნდა გამახვილდეს „პმ“-ში უშუალო მონაწილეობის მეშვეობით გაწევრიანებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. თითოეული ინდივიდუალური პროგრამის ფარგლებში „ასპირანტმა“ ქვეყანამ უნდა გამოყოს ის მნიშვნელოვანი სფეროები, რომელიც მისთვის არის პრიორიტეტული. სწორედ აღნიშნული პრიორიტეტული სფეროების მიხედვით მოხდება ალიანსთან პარტნიორული ურთიერთობების განვითარება. ყოველწლიური საანგარიშო სახის შეხვედრების ჩატარება ფორმატით „19+1“ ხელს შეუწყობს „ასპირნანტ ქვეყანასთან“ ორმხრივი დიალოგის გაწევრიანებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში.

გაფართოებული და ადაპტირებული პარპ-ის ფარგლებში და პარპ-ის პროცედურების მიხედვით, „ასპირანტი ქვეყნის“ წარმომადგენლებთან ერთად განისაზღვრება დაგეგმვის მიზნები, რომლებიც ეხება ქვეყნის შეირაღებული ძალების სტრუქტურებსა და შესაძლებლობათა მზადყოფნის დადგენას ალიანსში მომავალი წევრობისათვის. ამავე დროს „ასპირანტმა ქვეყანამ“ უნდა მიმოიხილოს თუ როგორ ხდება ამ მიზნების მიღწევის პროცესი. აღნიშნული მიზნების განსაზღვრა განხორციელდება ორმხრივი კონსულტაციების დონეზე და ის შეიძლება გავრცელდეს „ასპირნატი ქვეყნის“ შეიარაღებული ძალების ნებისმიერ კომპონენტზე და არა მხოლოდ „პმ“-სთვის დეკლარირებულ ძალებზე. მინისტერიალის მითითება პარპ-ის თაობაზე მოიცავს იმ კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებსაც შეიძლებენ „ასპირნტმა ქვეყანამ“ მიმართოს MAP-ის კონტექსტში თავისი ძალების ნატო-ში სავარაუდო გაწევრიანებისთვის მოსამზადებლად.

პარპი ხელს უწყობს ტრანსპარენტულობას, რადგან თითოეულ ქვეყანას შეუძლია თავისი ქვეყნის დოკუმენტი გაავრცელოს სხვა „ასპირანტ“ და ალიანსის ქვეყნებს შორის. „ასპირანტი ქვეყნები“ შეიძლება მოწვეულ იყვნენ ნატო-ს ჯარების ვარჯიშებზე დაკვირვებისა და მასში უშუალო მონაწილეობის მისაღებად. პარტნიორთა ძალების თრეინინგისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას სიმულაციის ტექნოლოგია.

მესამე სფერო - „რესურსების მართვის საკითხები“ - შეეხება ალიანსის ახალი წევრების მიერ საბიუჯეტო რესურსების ეფექტურად ალიანსში წევრობის პირობებთან შესაბამის დაგეგმვის საკითხს. ეროვნულ პროგრამაში უნდა იყოს განსაზღვრული ისეთი სახის სტრუქტურები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან თავდაცვის ბიუჯეტის დაგეგმარებასა და განხორციელებაზე. ამასთან ერთად, აღნიშნული სტრუქტურების თანამშრომლებმა უნდა გაიარონ შესაბამისი სასწავლო კურსები, რადგან გაეცნონ ნატო-ში არსებულ პრაქტიკასა და პროცედურებს.

„ასპირანტ“ ქვეყანას ალიანსში გაწევრია-

ნების პერიოდში მოეთხოვება:

· ალიანსის ვალდებულებების განხორციელებისათვის საკმარისი საბიუჯეტო რესურსების გამოყოფა;

· შესაბამისი ეროვნული სტრუქტურის დაარსება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ საბიუჯეტო რესურსების განკარგვაზე;

· ალიანსთან ერთობლივად დაფინანსებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება შეთანხმებული ხარჯების ფარგლებში;

· ალიანსის სტრუქტურებში მონაწილეობა (მუდმივი წარმომადგენლობა ნატო-ში; სამხედრო წარმომადგენლობა ნატო-ს სამეთაურო სტრუქტურებში; შეძლებისდაგვარად მონაწილეობა ნატო-ს სხვა ორგანოებშიც).

ამ სფეროში განსაზღვრული საკითხების განმახორციელებელ მექანიზმებად შერჩეულია „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში არსებული გაცვლითი და სათრეინინგო პროგრამების და ნატო-ს სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული სემინარების გამართვა. სამუშაო ჯგუფმა, ასპირანტი ქვეყნის თხოვნის საფუძველზე, უნდა გასწიოს შემდეგი სახის დახმარება:

1) კონსულტაციების უზრუნველყოფა ეროვნული სტრუქტურების, პროცედურებისა და მექანიზმების ჩამოყალიბებაში, იმ მიზნით, რომ თავდაცვითი ხარჯები ეფექტურად განაწილდეს;

2) შესაბამისი სტრუქტურებისათვის კადრების მომზადება ნატო-ს სტანდარტების გათვალისწინებით.

მეოთხე სფეროში - საინფორმაციო უშიშროება - გამახვილებულია ყურადღება, იმაზე, რომ ალიანსში განაწერიანების შემთხვევაში, უკვე მის შიგნით შემუშავებული და მოქმედი პოლიტიკის ფარგლებში, განხორციელდეს შესაბამისი პროცედურების და ეფექტური ზომების მიღება საიდუმლო და კონფიდენციალური ინფორმაციების დაცვის საქმეში. ამ მიმართულებით „ასპირანტი" ქვეყნის მოთხოვნით, ნატო-ს ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს შესაბამისი კურსების ჩატარებას ალიანსის მიერ განხორციელებული სპეციალური პროგრამების შესაბამისად (Personnel, Physical, Document, Industrial Security and INFOSEC projects). ნატო-ს უსაფრთხოებისა და სპეციალური კომიტეტების წარმომადგენლებმა შეიძლება გამოხატონ სურვილი შეხვდნენ „ასპირანტი" ქვეყნის დელეგაციის წევრებს აღნიშნული საკითხების განსახილველად.

მეხუთე ნაწილში - სამართლებრივი საკითხები - გამოყოფილია „ასპირანტი" ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებისათვის საჭირო სამართლებრივი და სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული შიდა საკანონმდებლო დოკუმენტებშიც. აქვე განსაზღვრულია შესაბამისი ეტაპები და ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავენ გაწევრიანების სამართლებრივ პროცედურას.

1) შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდეგ, ახალი წევრები უნდა მიუერთდნენ: ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას (ვაშინგტონი, 1949 წლის 4 აპრილი) - The North Atlantic Treaty;

2) ალიანსში გაწევრიანების ოფიციალური მოწვევის შემთხვევაში, ახალი წევრები უნდა მიუერთდნენ:

· ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მონაწილე მხარეების შეთანხმებას შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ (ლონდონი, 1951 წლის 19 ივნისი) -The Agreement between the Parties to the North Atlantic Treaty regarding the status of their forces (London SOFA);

· ნატო-ს საერთაშორისო სამხედრო შტაბის სტატუსის პროტოკოლს ("პარიზის პროტოკოლი" ხელმოწერილია 1952 წლის 28 აგვისტოს) -The Protocol on the status of International Military Headquarters (Paris Protocol);

3) ახალ წევრებს მოეთხოვებათ მიერთება შემდეგი სახის ხელშეკრულებებთან:

· ხელშეკრულება ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის, ეროვნული წარმომადგენლების და საერთაშორისო სამდივნოს სტატუსის შესახებ (ოტავა, 1951 წლის 20 სექტემბერი) -The Agreement on the status of the North Atlantic Treaty Organization, National Representatives and International Staff;

· ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში მესამე სახელმწიფოების წარმომადგენლობების და მისიების სტატუსის შესახებ (ბრიუსელი, 1994 წლის 14 სექტემბერი) - The Agreement on the status of Missions and Representatives of third States to the North Atlantic Treaty Organization;

4) ახალ წევრებს მოეთხოვებათ მიერთება შემდეგი ტექნიკური სახის ხელშეკრულებებთან:

· ხელშეკრულება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს შორის საინფორმაციო უშიშროების შესახებ (ბრიუსელი, 1997 წლის 6 მარტი) -The Agreement between the Parties to the North Atlantic Treaty for the Security of Information;

· ხელშეკრულება თავდაცვასთან დაკავშირებული გამოგონებების საიდუმლოდ დაცვის და საპატენტო განცხადებების შესახებ (პარიზი, 1960 წლის 21 სექტემბერი) - The Agreement for the mutual safeguarding of secrecy of inventions in relation to defence and for which applications for patents have made;

· ნატო-ს ხელშეკრულება თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებული ტექნიკური ინფორმაციის გადაცემის თაობაზე (ბრიუსელი, 1970 წლის 19 ოქტომბერი) -The NATO Agreement on the communication of technical information for defence purposes;

5) ბირთვული ინფორმაციის მიღების სავარაუდო პროცესისათვის, ახალ წევრებს მოეთხოვებათ მიუერთდნენ:

· ხელშეკრულებას ბირთვული ინფორმაციასთან დაკავშირებული თანამშრომლობის

შესახებ - Agreement for Cooperation Regarding Atomic Information-C-M (64) 39-Basic agreement;

· დოკუმენტს ხელშეკრულების ადმინისტრაციული ღონისძიებების აღსრულების თაობაზე - Administrative Arrangements to Implement the Agreement - C-M(68)41, 5th Revise;

6) „ასპირანტი" ქვეყნის შიდა კანონმდებლობა, რაც შეიძლება თავსებადი უნდა იყოს ნატო-სთან თანამშრომლობის პრინციპებთან.

ამ სფეროში განსაზღვრული საკითხების განმახორციელებელ მექანიზმად მიჩნეულია ნატო-ს სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული ბრიფინგები სამართლებრივ საკითხებზე და დისკუსიები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ განხორციელდეს ზემოთ აღნიშნულ ხელშეკრულებებთან მიერთება და როგორ მოხდეს ამ გზაზე არსებული შიდა საკონსტიტუციო და სამართლებრივი ბარიერების აღმოფხვრა. ამასთან დაკავშირებით, „ასპირანტმა" ქვეყანამ სასურველია წარმოადგინოს ინფორმაცია თუ ალიანსში გაწევრიანებისათვის რა ხელის შემშლელი პრობლემებია საშინაო საკანონმდებლო აქტებში.

დამატება III

ნატო-ს ძირითად მოვლენათა ქრონოლოგია (1945-2001 წ.წ.)

1948 წელი

6 ივლისი - აშშ, კანადა, ბელგია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და დიდი ბრიტანეთი იწყებენ მოლაპარაკებებს ჩრდილო ატლანტიკური თავდაცვითი ორგანიზაციის შესახებ და ამისათვის ქმნიან სამუშაო ჯგუფს;

25-26 ოქტომბერი - სამუშაო ჯგუფი ასრულებს აღნიშნული თავდაცვითი ორგანიზაციის ხელშეკრულების პროექტის მომზადებას;

10 დეკემბერი - ე.წ. „ბრიუსელის ხელშეკრულების ქვეყნები" (ბელგია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და დიდი ბრიტანეთი), აშშ და კანადა იწყებენ მოლაპარაკებების წარმოებას ქ. ვაშინგტონში ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრელების ორგანიზაციის (ნატო) შექმნის თაობაზე;

1949 წელი

15 მარტი - აღნიშნულ მოლაპარაკებებზე მოწვეულები არიან დანიის, ისლანდიის, იტალიის, ნორვეგიის და პორტუგალიის წარმომადგენლები;

4 აპრილი - ხელეკრულებას ნატო-ს შექმნის შესახებ ეწერება ხელი ქ. ვაშინგტონში. ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან: ბელგია, კანადა, დანია, საფრანგეთი, ისლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, დიდი ბრიტანეთი და აშშ;

24 აგვისტო - ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შესახებ სამართლებრივი დოკუმენტი შედის ძალაში;

17 სექტემბერი - ვაშინგტონში პირველად იკრიბება ჩრდილოატლანტიკური საბჭო;

1950 წელი

24 ოქტომბერი - საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რენე პლევენმა წამოაყენა იდეა ნატო-ს ფარგლებში გაერთიანებული ევროპული არმიის შექმნის თაობაზე, გერმანული კონტინგენტის მონაწილეობით;

1951 წელი

19 ივნისი - ნატო-ს წევრ-ქვეყნები ხელს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მონაწილე მხარეების შეთანხმებას შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ (ლონდონი, 1951 წლის 19 ივნისი) --The Agreement between the Parties to the North Atlantic Treaty regarding the status of their forces (London SOFA);

19 ნოემბერი - პარიზში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ნატო-ს თავდაცვის კოლეჯი, რომელიც შემდგომში 1966 წლის 10 ოქტომბერს გადადის რომში;

1952 წელი

18 თებერვალი - საბერძნეთი და თურქეთი ხდებიან ნატო-ს წევრები;

1954 წელი

7 მაისი - საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ ამავე წლის 31 მარტის ნოტის პასუხად საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მ უარყვეს მოსკოვის წინადადება ნატო-ში გაწევრიანების შესახებ;

1955 წელი

5 მაისი - გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა ხდება ნატო-ს წევრი-ქვეყანა;

14 მაისი - საბჭოთა კავშირი, ალბანეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, აღმოსავლეთ გერმანია, უნგრეთი, პოლონეთი და რუმინეთი აყალიბებენ ახალ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს „ვარშავის ხელშეკრულების" სახელწოდებით;

15-16 დეკემბერი - ჩრდილოატლანტიკური საბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე გადაწყდა ალიანსის შეიარაღებული ძალების აღჭურვა ბირთვული იარაღით და დაამტკიცა ნატო-ს ევროპული ქვეყნების მიერ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის

გაძლიერების პროგრამა;

1966 წელი

7 მარტი - საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა მიმართა აშშ-ს პრეზიდენტ ჯონსონს მისი ქვეყნის ნატო-ს ინტეგრირებული სამხედრო სარდლობებიდან გამოსვლის თაობაზე

26 ოქტომბერი - ჩრდილოატლანტიკური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ნატო-ს შტაბ-ბინის ბრიუსელში გადატანის შესახებ;

1967 წელი

18 იანვარი - რომში ნატო-ს თავდაცვის კოლეჯის ოფიციალური გახსნის ცერემონიალი გაიმართა;

31 მარტი - ბელგიის ქალაქ მონსში ნატო-ს ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის (SHAPE) ოფიციალური გახსნის ცერემონიალი გაიმართა;

16 ოქტომბერი - ბრიუსელში ნატო-ს შტაბ-ბინის ოფიციალური გახსნის ცერემონიალი გაიმართდა;

13-14 დეკემბერი - ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ (საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე) დაამტკიცა დოქტორ ჰარმელის მოხსენება ალიანსის სამომავლო ამოცანების შესახებ. ამავე დროს, თავდაცვის დაგეგმარების კომიტეტმა მიიღო ნატო-ს ახალი სტრატეგიული კონცეფცია მოქნილი რეაგირების დოქტრინის საფუძველზე და დაამტკიცა ატლანტიკური მუდმივი სამხედრო-საზღვაო ძალების დაჯგუფების დაარსების გეგმა;

1968 წელი

15-16 ნოემბერი - ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ დაგმო საბჭოთა კავშირის შეჭრა ჩეხოსლოვაკიაში და განიხილა ეს ქმედება როგორც გაეროს წესდების ძირითადი პრინციპების უხეშ დარღვევად;

1979 წელი

12 დეკემბერი - ჩრდილოატლანტიკური საბჭოს გაფართოებულ სესიაზე (თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრების გაერთიანებული შეხვედრა) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „ორმაგი-მარყუჟის" სახელწოდებით, რომელიც ითვალისწინებდა ალიანსის ბირთვული დარტყმითი შეიარაღების მოდერნიზაციას, ამერიკული ბალისტიკური რაკეტების „პერშინგ II"-ისა და საშუალო სიშორის ფრთოსანი რაკეტების (ძირითადად „თომაჰოკის" კლასის) დასავლეთ ევროპის ტერიტორიებზე განლაგების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე დაიწყო საკუთარი ბალისტიკური რაკეტების ე.წ. „სს-20" კლასის რაკეტების განლაგება;

29 სექტემბერი - ჩრდილოატლანტიკური საბჭოს საგანგებო სესია იმართება, სადაც განიხილება 27 სექტემბერს საბჭოთა კავშირის ავღანეთში სამხედრო ინტერვენციის საკითხი;

1982 წელი

30 მაისი - ესპანეთი ხდება ნატო-ს მე-16 წევრი-სახელმწიფო;

1984 წელი

დასავლეთ ევროპის თავდაცვის ორგანიზაციის წევრ-ქვეყნების თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები აქვეყნებენ ე.წ. „რომის დეკლარაციას", რომელიც ითვალისწინებს ორგანიზაციის შიგნით თანამშრომლობის განმტკიცებას;

1988 წელი

22 იანვარი - გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა და საფრანგეთის მთავრობები აყალიბებენ ერთობლივი უსაფრთხოების საბჭოს და ხელს აწერენ ხელშეკრულებას ფრანკო-გერმანულ გაერთიანებული საარმიო ბრიგადის ჩამოყალიბების შესახებ;

1990 წელი

6 ივლისი - ნატო-ს უმაღლესი დონის სამიტზე (წევრ-ქვეყნების მეთაურებისა და მთავრობათა ხელმძღვანელების დონეზე) მიღებულ იქნა ე.წ. „ლონდონის დეკლარაცია", სადაც აღინიშნა ალიანსის ტრანსფორმაციის შესახებ და დაფიქსირდა პოზიცია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარების თაობაზე სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში, მათ შორის დაისახა მუდმივი დიპლომატიური მისიების დაარსების პერსპექტივა აღნიშნულ ქვეყნებსა და ნატო-ს შორის;

1991 წელი

1 ივლისი - ოფიციალურად დაიშალა ე.წ. „ვარშავის ხელშეკრულების" ორგანიზაცია;

7-8 ნოემბერი - ნატო-ს უმაღლესი დონის სამიტზე რომში მიღებულ იქნა ალიანსის ახალი პოსტბიპოლარული სტრატეგიული კონცეფცია და ე.წ. „რომის დეკლარაცია" მშვიდობისა და თანამშრომლობის შესახებ;

20 დეკემბერი - ჩამოყალიბდა ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის ახალი სტრუქტურა - ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის

საბჭო (ნაქსი-NACC), რომლის ინაგურაციულ შეხვედრაზე იმყოფებოდნენ ნატო-ს 16 წევრ-ქვეყნისა და 9 ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრები და ოფიციალური წარმომადგენლები;

1992 წელი

10 მარტი - ნაქსის საგანგებო შეხვედრაზე (საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე) დაამტკიცეს სამოქმედო გეგმა დიალოგის, პარტნიორობის და თანამშრომლობისათვის;

1993 წელი

23 ივნისი - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე ოფიციალური ვიზიტით ეწვია ნატო-ს შტაბ-ბინას ბრიუსელში;

20 სექტემბერი - ნაქს-ის წარმომადგენლები ნატო-ს შტაბ-ბინაში იხილავენ აფხაზეთში, საქართველო შექმნილ სიტუაციას და გმობენ აფხაზი სეპარატისტების მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევას;

1994 წელი

10-11 იანვარი - ნატო-ს უმაღლესი დონის სამიტი ბრიუსელში, სადაც ფუძდება „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამა-პმპ-Partnership for Peace (მისი ინიციატორი იყო აშშ-ს მაშინდელი პრეზიდენტი ბილ ქლინთონი), რომელიც საშუალებას აძლევს ალიანსის პარტნიორ-ქვეყნებს მიიღონ მონაწილეობა ალიანსის ეგიდით ჩატარებულ უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის განმტკიცების ხელშეწყობ ღონისძიებებში (ძირითადში საქმე ეხება სამხედრო წვრთნებს და სამოქალაქო თავდაცვის ოპერაციებს). ამ სამიტზე ქვეყნდება პმპ-ის ჩარჩო დოკუმენტი და ეგზავნებათ მოწვევა ყველა ნაქს-ის და ეუთო-ს წევრ-ქვეყნებს მასში მონაწილეობის მისაღებად. ასევე სამიტზე მტკიცდება კომბინირებული ერთობლივი დანიშნულების შეიარაღებული ძალების (Combined Joint Task Forces) კონცეფცია;

23 მარტი - საქართველო უერთდება პმპ-ს და ხელს აწერს ჩარჩო დოკუმენტს;

28 აპრილი - ბელგიის ქ. მონსში განლაგებულ ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის შტაბ-ბინაში საზეიმოდ იხსნება „პარტნიორობის საკოორდინაციო ცენტრი", რომლის მიზანია პმპ-ის სამხედრო ნაწილის განხორციელება. 1996 წლიდან აღნიშნულ ცენტრში მუშაობა დაიწყო ქართველმა ოფიცერმა;

8 ნოემბერი - ნატო-ს ხელმძღვანელობა პმპ-ის ფარგლებში აყალიბებს პმპ-ის დაგეგმვისა და ანალიზის პროცესის (PfP Planning and Review Process) მექანიზმს, რომელიც ანიჭებს პმპ-ს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას და მიზანს - ნატოსთან თავსებადობის მიღწევას;

1995 წელი

31 მაისი - ნატო-ს მინისტერიალზე (საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე) მოიწონეს დოკუმენტი „შეთანხმება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ ქვეყნებსა და მშვიდობისათვის პარტნიორობის პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის ძალების სტატუსის შესახებ", რომელიც იურიდიულ საფუძველს ქმნის პმპ-ს მონაწილე ქვეყნის ტერიტორიაზე ნატო-ს ან პარტნიორი ქვეყნის შეიარაღებული ძალების განლაგებისათვის;

18 ივლისი - საქართველო შეუერთდა აღნიშნულ შეთანხმებას და მის დამატებით ოქმს;

1997 წელი

27 მაისი - პარიზში იმართება რუსეთ-ნატო-ს სამიტი, სადაც ხელი ეწერება „ნატო-ს და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობების, თანამშრომლობისა და უსაფრთხეობის სადამფუძნებლო აქტს";

30 მაისი - პორტუგალიის ქალაქ სინტრაში იმართება ნაქს-ის შემჯამებელი შეხვედრა და საფუძველი ეყრება ახალი სტრუქტურის ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს (ეაპსი - Euro-Atlantic Partnership Council). ამავე შეხვედრაზე ნატო-სა და პარტნიორი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა დაამტკიცეს ეაპს-ის ძირითადი დოკუმენტი;

8 ივლისი - მადრიდში გაიმართა ნატო-ს უმაღლესი დონის სამიტი, სადაც ცენტრალური ევროპის სამ ქვეყანას:უნგრეთს, პოლონეთს და ჩეხეთს ოფიციალურად შესთავაზეს ალიანსში გაწევრიანება და ამის თაობაზე კონსულტაციების დაწყება. ამავე დროს გაფორმდა ორმხრივი ნატო-უკრაინის განსაკუთრებული პარტნიორობის ქარტია;

9 ივლისი - პირველად ნაქს-ის გაუქმების შემდეგ გაიმართა ეაპს-ის უმაღლესი დონის სამიტი, სადაც მონაწილეობდნენ ნატო-სა და პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი პირები;

1999 წელი

24-25 აპრილი - ვაშინგტონში გაიმართა შესაბამისად ნატო-სა და ეაპს-ის სამიტები. აღნიშნული სამიტი საიუბილეო იყო და მიეძღვნა ნატო-ს დაარსების 50 წლისთავს. სამიტზე მიღწეულ იქნა შემდეგი:

· მოიწონეს ნატო-ს განახლებული სტრატე-

გიული კონცეფცია;

· ოფიციალურად დასრულდა ნატო-ში პოლონეთის, ჩეხეთის და უნგრეთის გაწევრიანება;

· დადასტურდა ნატო-ს მზადყოფნა შემდგომი გაფართოებისათვის, ხოლო ალიანსში გაწევრიანების მსურველი ქვეყნებისათვის მიიღეს „გაწევრიანების სამოქმედო გეგმა" (MFA);

· შემუშავდა ალიანსის ფარგლებში „ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის იდენტურობის" მთავარი ელემენტები (ESDI);

· საფუძველი ჩაეყარა „თავდაცვის საშუალებათა ინიციატივას" (DCI);

· ყურადღება გამახვილდა პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებაზე, ასევე ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ქვეყნებთან დიალოგის გაღრმავებაზე;

· გადაწყდა, გაძლიერდეს ერთობლივი ძალისხმევა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ;

6 სექტემბერი - ეაპს-ის ფარგლებში შეიქმნა ე.წ „კავკასიის რეგიონული სამუშაო ჯგუფი";

2000 წელი

14 ივლისი - ნატო-ს გენერალური მდივანი ხდება ლორდი ჯორჯ რობერტსონი, რომელმაც შეცვალა ესპანელი ჰავიერ სოლანა. იმავე წლის 26-27 სექტემბერს ნატო-ს ახალი გენერალური მდივანი ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა საქართველოში;

2001 წელი

11-23 ივნისი - საქართველოში, კერძოდ, ქ. ფოთში იმართება ნატო-ს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილმასშტაბიანი სამხედრო-საზღვაო წვრთნები „Cooperative Partner 2000".

დამატება IV

ნატო-ს გენერალური მდივნები:

1952-1957 წ.წ. ლორდ ისმეი (დიდი ბრიტანეთი);

1957-1961 წ.წ. პაულ ჰენრი სპააკი (ბელგია);

1961-1964 წ.წ. დირკ უ. სტიკკერი (ნიდერლანდები);

1964-1971 წ.წ. მანლიო ბროსიო (იტალია);

1971-1984 წ.წ. ჯოზეფ ლუნსი (ნიდერლანდები);

1984-1988 წ.წ. ლორდ კარინგტონი (დიდი ბრიტანეთი);

1988-1994 წ.წ. მანფრედ ვერნერი (გერმანია);

1994-1995 წ.წ. ვილი კლაესი (ბელგია);

1995-2000 წ.წ. ჰავიერ სოლანა (ესპანეთი);

2000 წ. ლორდი ჯორჯ რობერტსონი (დიდი ბრიტანეთი).

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. "The North Atlantic Treaty Organization: 1949-1989-Facts and Figures", The Nato Information Service, NATO, 1989;
2. NATO Handbook: 1949-1999", NATO Office of Information and Press-web-site: www.nato.int, 1998;
3. The Reader`s Guide to the NATO Summit in Washington: 23-25 April 1999", NATO Office of Information and Press, Brussels, Belgium, 2000
4. NATO European Security Cooperation Course"-handbook, Policy and Orientation Department of NATO School (SHAPE) in Oberammergau, Germany, 2001
5. Thomas S. Szayna `NATO`s Metamorphosis and Central European Politics: Effects of Alliance Transformation", Problems of Communism, May 1998;
6. Civil Armies, Civil Societies, and NATO`s Enlargement", Armed Forces and Society, Vol.25, No.1, Fall 1988;
7. Post-Communist Insecurity", Problems of Post-Communism, Vol.47, No.5, September/October 2000;
8. Plato to NATO: Studies in Political Thought" introduecd by Brian Redhead, Penguin Books, 1995;
9. Eugene R. Wittkopf and Charles W. Kegley `World Politics: Trends and Transformation, Macmillan Press LTD, 2001;
10. Paul Kennedy `The Rise and Fall of the Great Powers: Economic Change and Military Conflict from 1500 to 2000", Fontana Press, 1988;
11. The NATO Handbook Chronology. A Companion Volume to the 50th Anniversary Edition of the NATO Handbook. NATO Office of Information and Press, 1998;
12. Developing a Regional Security Concept for the Caucasus. ICCN. Workshop, Final Report. 4-6 October 1996. Tbilisi;
13. Individual Partnership Program Between the Republic of Georgia and NATO. NATO. PFP (PMSC)D(95)32. 13 December 1995;
14. Western European Union Council of Ministers Petersberg Declaration, Bonn, 19 June 1992-source:http://www.weu.int/eng/comm/92-petersberg.htm
15. Partnership for Peace: Invitation and framework Document. Issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council. Brussels, 10-11 January 1994;
16. NATO`s Core Security Functions in the New Europe. Statement issued by the North Atlantic Council meeting in Ministerial Session. Copenhagen, 6-7 June 1991;
17. `Georgia and The World: A Vision and Strategy for the Future", Ministry of Foerign Affairs of Georgia, 2000;
18. Thomas-Durell Young `Multinational Land Formations and NATO: Reforming Practices and Strucutres", U.S. Army War College, 1997;
19. Dick A. Lendrijk `The United Nations and NATO in Former Yugoslavia: Partners in International Cooperation", Netherlands-Atlantic Commission, The Hague, 1994;
20. Jamie Shea `NATO 2000: A Political Agenda for a Political Alliance", Brassey`s Atlantic commentaries, Great Britain, 2000;
21. Fukuama, Francis `The End of History and the Last Man", New-York, Free Press, 1991;
22. Edward V. Gulick `Europe`s Classical Balance of Power". Cornell University Press, 1955;
23. Z. Brzezinski `The Grand Chessboard". Basic Books. 1997;
24. Paul Kennedy `The Rise and Fall of the Great Powers: Economic Change and Military Conflict from 1500 to 2000", New-York, Random House, 1997;
25. Statement by the Secretary General Following the North Atlantic Council Decision to Launch Operation Essential Harvest, 22 August, 2001;
26. ხურაბ აბაშიძე „ნატო და საქართველო:უტოპიიდან რეალობისაკენ", ბრიუსელი, 2002;
27. ჯ. კაშია „მიჯაჭვული საქართველო", ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი „ევერია"№2, თბილისი-ბრიუსელი, 1993 წელი;
28. დათო ჩადუნელი „ვაჰაბიზმი ..ახალი კავკასიური დაძაბულობისათვის". გაზეთი „ახალი შვიდი დღე" 20-26 აგვისტო, 1999 წელი;
29. პრეზიდენტის პრეს-სამსახურის ბიულეტენი:"მშვიდობიანი კავკასია-მიმოხილვა:ფაქტი, მოვლენა, კომენტარი"№442, 5 ივნისი, 1998 წელი;
30. ა. რონდელი „საქართველოს საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები". თბილისი, 1998 წელი;

ნაციონალიზმი და ეროვნული სახელმწიფოს ფესვები

■ დავით პაიჭაძე

დღეს ჩვენს საზოგადოებას უცნაური სენი შეყრია. აქამდე არსებული აბსენტეიზმი, ანუ პოლიტიკისადმი გულგრილი დამოკიდებულება შეიცვალა წმინდა ემოციური ეროვნული ლოზუნგებით, სარწმუნოების პოლიტიზირების მცდელობით. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ერში საკუთარი იდენტურობის დამცავი მექანიზმი იღვიძებს. ამგვარი განწყობა კი აშკარად უნდობლობის ვოტუმია არსებული ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ, რამეთუ ხალხი ვერ ხედავს მასში ეროვნული ინტერესების გამომხატველ, სამოქალაქო საზოგადოებრივ სამართალზე ორიენტირებულ მთავრობას. ეს სავსებით გასაგები მოვლენაა, მაგრამ ამ გრძნობების ექსპლუატაცია საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ან სხვა უცხო სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ დაეს ისევ ზოგად ეროვნულის საზიანოდ, არაკომპეტენტურობის ან შენიღბული მტრობის მანიშნებელია.

სარწმუნოების პოლიტიზირება ფუნდამენტალიზმი გახლავთ, რაც მუდამ მიუღებელი და უცხო იყო ქართველი ხალხისა და პოლიტიკოსებისათვისაც. მართლმადიდებლობის პოლიტიკის რანგში აყვანა კი, არ არის ძნელი გამოსაცნობი თუ რომელ ჩვენს „კეთილისმსურველს“ აძლევს ხელს.

ცივილიზებულ სამყაროში ეროვნულობა მოქალაქეობას ნიშნავს და პირიქით. ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანა რეალურად ემყარება სამოქალაქო ეროვნულ ღირებულებებს.

ცივილიზებულ სამყაროში ეროვნულობა მოქალაქეობას ნიშნავს და პირიქით. ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანა რეალურად ემყარება სამოქალაქო ეროვნულ ღირებულებებს.

ამგვარი პოლიტიკის დეფიციტის ფონზე კი გასაგებია, რომ ცნებებისა და რეალური ეროვნული პოლიტიკური ინტერესების აღრევა მოხდა. ამით სარგებლობენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალები, რომელთაც „მებრძოლი ურწმუნოება“ გადამეტებული „ღვთისმოშიშობით“, ხოლო პროლეტარული ინტერნაციონალიზმი - ეროვნულობითა და პატრიოტიზმით შეცვალეს. მათ ამგვარ ეროვნულ „აღტკინებას“ სოციალური პრობლემებითა თუ ხელისუფლებაში მოკალათებული საბოტაჟის მომწყობთა განუკითხაობისა და დაუსჯელობით გაღიზიანებული მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სიმპათიით შესცქერის. და თუ კომუნიზმის იდეა იმდენად არაპოპულარულია ქართველთა შორის, რომ რუსეთის იმპერიული ზრახვების შემსრულებლებად ვერც მარგიანი და ვერც გოგუაძე ვერ გამოდგებიან, მაშინ აუცილებლობა ე.წ. „მეორე პოლიტიკური“ ცენტრის არსებობას მოითხოვს, რომელიც წინა პლანზე სოციალურ და ეროვნულ პრობლემებს წამოწევს. ხელისუფლების უსუსურობამ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ამგვარი ძალების პოლიტიკურ გააქტივებას ახალი ლოზუნგებით.

ამგვარად ჩვენი საზოგადოებაც შესაბამისად იყოფა: ერთნი ეროვნული თვითმყოფადობის დამადასტურებელ ნიშნებს გარეგნულ ფაქტორებში ეძებენ და სარწმუნოების პოლიტიზებამდე მიდიან. „მედასაკლეთეებს“ მასონებსა და ცისფრებს უწოდებენ, თუმცა ცოტა ვინმემ თუ იცის მასონობის არსი და არც მათი სექსუალური ორიენტაცია აღელვებთ მაინცადამაინც. ფუნდამენტალიზმით შეპყრობილნი „მოძმე“ სერბების ბედზე წუხან და მათ მისახმარებლად მოხალისეებად ეწერებიან. არც კი დაინტერესებულან, რა რეაქცია ქონდათ მოძმე სერბებს აფხაზეთში მომხდარ ქართველთა გენოციდზე. საინტერესოა რამდენ მათგანს მიუღია მონაწილეობა სოხუმის დაცვაში? მათ ავიწყდებათ, შეიძლება არც კი იციან, რომ სწორედ „მოძმე“ ერთმორწმუნე რუსეთმა აღკვეთა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, რაც არც არაბებს, არც ირანელებსა და არც თურქებს უკადრებიათ. რომ, სწორედ ერთმორწმუნე რუსეთი არის ისტორიულად საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების და ე.ი სახელმწიფოებრიობის

მოწინააღმდეგე და მუდამ მხარს უჭერს პოლიტიკურ სეპარატიზმს. არც კი ფიქრდებიან იმაზე, რომ შეპარვით დამკვიდრებული ტერმინი „მეორე პოლიტიკური ცენტრი“ ძირს უთხრის ცენტრალური ხელისუფლების ანუ სახელმწიფოებრიობის იდეას საქართველოში. ამგვარი მიდგომა ანტისახელმწიფოებრივი აზროვნების ტიპიური ნიმუშია. რაც არ უნდა არ მოგწონდეს კონკრეტული პიროვნება ცენტრალურ ხელისუფლებაში და ეწინააღმდეგებოდე მის პოლიტიკას, ცენტრალური ხელისუფლების პერსონიფიცირება ფეოდალური მენტალიტეტის გამოვლინებაა და მეტი არაფერი. ყოველი პოლიტიკური ძალა საქართველოში ვალდებულია იზრუნოს იმაზე, რომ ცენტრალური ხელისუფლების იდეა რეალურად გამყარდეს ყოველი ჩვენთაგანის მენტალიტეტში. ხოლო ის კი ვინც ამის დაქსაქსვას შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად ემსახურება, ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ილაშქრებს.

ყოველი პოლიტიკური ძალა საქართველოში ვალდებულია იზრუნოს იმაზე, რომ ცენტრალური ხელისუფლების იდეა რეალურად გამყარდეს ყოველი ჩვენთაგანის მენტალიტეტში. ხოლო ის კი ვინც ამის დაქსაქსვას შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად ემსახურება, ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ილაშქრებს.

მეორენი, ბეჯითი მოსწავლეებივით ემიჯნებიან ნაციონალიზმს და მასში მხოლოდ უკიდურესად რადიკალურ მოვლენას ხედავენ. ამიტომაც პირველთა „წყრომას“ და მათგან კოსმოპოლიტიზმში დადანაშაულებას იმსახურებენ.

ობიექტური რეალობა კი სხვაგვარია:

უპირველეს ყოვლისა უნდა ვაღიაროთ, რომ ნაციონალიზმი არსებობს ზოგადად, ობიექტურად და ყველა ერში, მათ შორის ქართველებშიც. ამ ისტორიულ რეალობას უზარმაზარი პოლიტიკური ძალა გააჩნია. დღეს თავისუფლად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნაციონალიზმი, როგორც უნივერსალური ისტორიული პრინციპი უახლოეს მომავალშიც განსაზღვრავს სახელმწიფოთა შიდა წყობასა და ხალხთა შორის ურთიერთობას. ამ მოვლენის პოლიტიკურ შეცდომათა თუ გარდამავალ ფაზად წარმოჩენის მცდელობა, პოლიტიკაში ნაციონალიზმის მნიშვნელობის ხელოვნურ დაკნინებას ნიშნავს. ეს ერთობლივი ისტორიულ-პოლიტიკური ფენომენი გახლავთ. ნაციონალიზმი უდაოდ პოლიტიკური ძალაა, რომელიც უკანასკნელ ორ ასწლეულში სხვადასხვა ისტორიულ ვითარებაში სხვადასხვანაირად განვითარდა. ეს ის ძალა გახლავთ, რომელმაც უკანასკნელ ორ ასწლეულში ევროპისა და მსოფლიოს ისტორიაზე ბევრად უფრო დიდი გავლენა მოახდინა, ვიდრე თავისუფლების, საპარლამენტო დემოკრატიისა თუ კომუნიზმის იდეებმა. თანამედროვე ნაციონალიზმი დასაბამს XVIII საუკუნის დასავლეთ ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში იღებს, XIX საუკუნის განმავლობაში სოციალიზმის პარალელურად ერთ-ერთი მძლავრი იდეა გახლდათ, ხოლო XX საუკუნეში განვითარების მწვერვალს მიაღწია. ევროპაში - პირველი მსოფლიო ომის წინ და შემდეგაც, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ - აზიასა და აფრიკაში.

ნაციონალიზმის პოლიტიკური გამოხატვების ნაირსახეობა ასაბუთებს, რომ ეს ცნება ბევრად უფრო მრავალფეროვანია ვიდრე ეს ჩვენს დღევანდელ პოლიტიკურსა თუ სამეცნიერო ლექსიკონში აისახება. ნაციონალიზმი შეიძლება ნიშნავდეს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ემანსიპირების სურვილს ისევე, როგორც ამ ყოველივეს დათრგუნვისა. იმპერიალიზმთან მიმართებაში იგი ანტიიმპერიალიზმს ნიშნავს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს ცნება ზოგადად არატოლერანტობის, არაჰუმანურობისა და ძალმომრეობის სიმბოლო გახდა. რეალურად კი ნაციონალიზმი ხალხებისა თუ ინდივიდებისათვის პოლიტიკური და სოციალური დისკრიმინაციისაგან განთავისუფლებას ნიშნავს. თუმცა უფრო ხშირად აღიქმება, როგორც თავისუფლების შეზღუდვა. ამრიგად ნაციონალიზმი შეიძლება ნიშნავდეს ემანსიპირებასა და ჩაგვრასაც, იგი შეიცავს შანსებსაც და საშიშროებასაც.

ჰიტლერისა და მუსოლინის „მოღვაწეობით“ შეშინებულმა მეცნიერთა და პოლიტიკოსთა ნაწილმა ნაციონალიზმად აღიქვა მოძრაობა, რომელიც საკუთარი ერის ინტერესებს მსხვერპლად წირავს დანარჩენებისას და მზად არის საკუთარი ერის sacro egoismo-ს ფეხქვეშ გაათელინოს დანარჩენნი. ისინი მიიჩნევენ, რომ ნაციონალიზმი ეროვნული იდეის ჰიპერტროფირებული, არატოლერანტული გამოვლინებაა.[1] ნაციონალიზმის ამგვარი შეფასების წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1955 წელს გაილაშქრა აშშ ყოფილმა პრეზიდენტმა ჰუვერმა, იგი წერდა: „დღევანდელი ინტელექტუალები ცდილობენ ნაციონალიზმი წარმოგვიჩინონ, როგორც ცოდვა კაცობრიობის წინაშე... მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ნაციონალიზმის სული კაცობრიობის შემოქმედებითი წიაღიდან მომდინარეობს, რომ იგი გვევლინება

[1] Großer Brockhaus, Wiesbaden 1955 , Bd. 16.Nationaliymus.

როგორც მძლავრი სურვილი ადამიანებისა იყვნენ თავისუფალნი და საკუთარ ყაიდაზე მოიწყონ მმართველობა."[2]

პატრიოტიზმი ბევრად უფრო ძველი ტერმინია და გულისხმობს ემოციურ მიბმას ლანდშაფტსა თუ ფეოდალ მბრძანებელზე, ანდა დინასტიურ სახელმწიფოზე. ბოლოს პატრიოტიზმს ხმარობდნენ როგორც ეროვნული სახელმწიფოს აღმშენებლობის სურვილის სინონიმს. მაგრამ ნაციონალიზმთან შედარებით პატრიოტიზმი ვერასდროს გამხდარა და გახდება პოლიტიკური ძალა.

ამას მოჰყვა მცდელობები სახელი დაერქმიათ ნაციონალიზმის პოზიტიური მხარისათვის. ასეთად - ეროვნული გრძნობები, პატრიოტიზმი - შემოიღეს. პატრიოტიზმი ბევრად უფრო ძველი ტერმინია და გულისხმობს ემოციურ მიბმას ლანდშაფტსა თუ ფეოდალ მბრძანებელზე, ანდა დინასტიურ სახელმწიფოზე. ბოლოს პატრიოტიზმს ხმარობდნენ როგორც ეროვნული სახელმწიფოს აღმშენებლობის სურვილის სინონიმს. მაგრამ ნაციონალიზმთან შედარებით პატრიოტიზმი ვერასდროს გამხდარა და გახდება პოლიტიკური ძალა. თანამედროვე მეცნიერება პატრიოტიზმს ამ თვალსაზრისით განიხილავს, როგორც ვეგეტატიურ ე.ი. წმინდად ემოციურ, გაუაზრებელ ჯგუფურ განცდას[3]. ამის საპირისპიროდ ნაციონალიზმი აღიქმება, როგორც გააზრებული სპეციფიური ინტეგრაციის იდეოლოგია, რომელიც ეროვნულ ინფორმაციას, მოგონებებსა და წარმოდგენებს საზოგადოებრივი კომუნიკაციის დროს პრიორიტეტს ანიჭებს, რაც პოლიტიკური გადაწყვეტილებების დროს გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. იგი ინტეგრაციას უწევს ადამიანთა დიდ ჯგუფს, აძლევს ერთობის გრძნობას და ამით მიჯნავს დანარჩენი სამყაროსაგან. ნაციონალიზმი, როგორც ინტეგრაციის იდეოლოგია ყოველთვის რომელსამე ერს გულისხმობს და არა სოციალურადა თუ რელიგიურად ორიენტირებულ ჯგუფს.[4] ამრიგად, ნაციონალიზმის ძირითადი ფასეულობა ერი ყოფილა. თანამედროვე ნაციონალიზმი წარმოგვიდგება როგორც იდეოლოგია ან პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ძირითად ღირებულებად ერსა და ეროვნულ სახელმწიფოს აცხადებს და უნარი შესწევს ხალხი ან ადამიანთა დიდი ჯგუფი პოლიტიკურად დარაზმოს.

ერები ნაციონალიზმისათვის ის საშენი ქვებია, რომელთა ერთობლიობა კაცობრიობას შეადგენს. ამიტომაც პოლიტიკური აზრისა და ქმედების ქვაკუთხედს ერის ინტერესები წარმოადგენს. გარკვეული თვალსაზრისით ნაციონალიზმი რელიგიადაც კი იქცევა.[5] ერი რელიგიურად კურთხეულია იგი წმინდაა. ამიტომაც თავგანწირვა ერის ერთობის, დიდებისა და თვითგამორკვევისათვის არის გმირობა, მარტვილობა. ეროვნული იდეის ამგვარი აღზევება XIX საუკუნის ევროპაში თვალნათლივ ჩანს. რელიგიურობა ეროვნულში სეკულარიზდებოდა, სეკულარული საკრალურდებოდა. ამგვარი აღტკინების შედეგი იყო XIX საუკუნის ევროპაში ეროვნული სახელმწიფოების ფორმირების პროცესის დასასრული. ამრიგად ეროვნული მოძრაობა სხვა არაფერია თუ არა ეროვნული სახელმწიფოს შენების გზების ძიება. ერი ეს არის ხალხი რომელსაც სახელმწიფოებრიობა გააჩნია ან ოდესმე გააჩნდა. ეს არის ხალხი სახელმწიფოში და სახელმწიფოებრიობა ხალხში.[6] ერი ეს არის პოლიტიკურად მობილიზებული ხალხი. ხალხი, რომელიც სახელმწიფოს ვერ ქმნის ვერც ერად ყალიბდება. ამიტომაა, რომ ბევრ ევროპულ ენაში სახელმწიფოებრივი და ეროვნული კუთვნილება სინონიმებს წარმოადგენს. ერი შეიძლება რამდენიმე ტომისაგან შედგებოდეს, პირიქითაც, ერთი დიდი ტომიდან შეიძლება რამდენიმე ერი წარმოიქმნას როგორც მაგალითად, ფრანკები, ალემანები, სლავები და სხვ.

მიჩნეულია, რომ კლასიკურ შემთხვევაში ეროვნული სახელმწიფოს შექმნის წინა საფეხური აბსოლუტური მონარქია გახლავთ, თუმცა არსებობს სხვა მაგალითებიც, როცა ეროვნულ სახელმწიფოს საფუძველი ეყრება უცხო დამპყრობთა ბატონობის ან დემოკრატიის პირობებში, მაგალითად, იტალია, აშშ.

ეროვნული სახელმწიფოების შექმნა ბურჟუაზიული კლასის პოლიტიკური აქტივობის შედეგია. ისტორიულად ნაციონალიზმმა ბოლო მოუღო შუა საუკუნეების გადმონაშთს - მონარქიას. გადასვლა სამოქალაქო ეროვნულ სახელმწიფოზე ნიშნავდა, რომ ამიერიდან სახელმწიფოში წინა პლანზე არა დინასტიური არამედ ეროვნული ინტერესები იდგა. ახალ საზოგადოებებში ბურჟუაზიული რევოლუციების ხანაში ახალი ფასეულობები გაჩნდა. საფრანგეთის რევოლუციამ ძმობის, თანასწორობისა და თავისუფლების ღირებულებებთან ერთად ერის

[2] H. Sündermann, Deutsche Notizen, Leoni 1965, S. 166.
[3] H. Kohn, die Idee des Nationalismus, Ursprung und Geschichte bis zur Französischer Revolution, Frankfurt 1962., S. 116.
[illegible] T. Schieder, P. Burian, Sozialstruktur und Organisation europäischer Nationalbewegungen, München 1977., S.11.
[5] C. J. Hayes, Nationalism. A Religion, New-York 1960.
[illegible] olitisches Lexikon, Hannover 1966 Nation.

Friedrich-Ebert-Stiftung Bonn Bibliothek

მიჩნეულია, რომ კლასიკურ შემთხვევაში ეროვნული სახელმწიფოს შექმნის წინა საფეხური აბსოლუტური მონარქია გახლავთ, თუმცა არსებობს სხვა მაგალითებიც, როცა ეროვნულ სახელმწიფოს საფუძველი ეყრება უცხო დამპყრობთა ბატონობის ან დემოკრატიის პირობებში, მაგალითად, იტალია, აშშ.

(ნაციის) ინტერესების პრიმატის საკითხი დასვა. ამერიკელთა დამოუკიდებლობისა და ადამიანის უფლებების დეკლარაციები ისევე, როგორც კონსტიტუცია ამერიკელებს ბრიტანელებისაგან განსხვავებულ, დამოუკიდებელ ერად აცხადებდა. ამგვარად, ბურჟუაზიულ რევოლუციათა ხანაში ერის ცნებამ ახალი ელფერი შეიძინა და პოლიტიკური ერთობის სიმბოლო გახდა. ლიბერალურმა თავისუფლების იდეალებმა და დოქტრინამ - ხალხის - სუვერენიტეტის სუბიექტის შესახებ არა მხოლოდ დემოკრატიის ახლებურ გაგებას ჩაუყარა საფუძველი, არამედ დასაბამი დაუდო სახელმწიფოსა და ხალხის ერთობის ახლებურ გააზრებას, რასაც ერი დაერქვა. ამრიგად ნაციონალიზმი თანამედროვე გაგებით ბურჟუაზიული რევოლუციების პირმშოა და ე.ი. მოქალაქეთა კლასის პოლიტიკური აქტივობის შედეგი. თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებები სწორედ ეროვნული ინტერესების დასაცავად იღწვიან. ამრიგად, სამოქალაქო-ეროვნული სახელმწიფოები ის პირველი ნაბიჯია, რაც განვლეს თანამედროვე განვითარებულმა სახელმწიფოებმა მაშინ, როდესაც ილია ჭავჭავაძე მოუწოდებდა ქართველებს გამოღვიძებისაკენ, ახსენებდა ეროვნული ერთობის შეგნებას და რუსეთის იმპერიაში ქართველი ერისათვის პოლიტიკურ ავტონომიას ითხოვდა. მიჩნეულია, რომ თანამედროვე სამოქალაქო ნაციონალიზმის სამშობლო არის საფრანგეთი, სადაც ნაციონალიზმის ამ ფორმამ რევოლუციის დროს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სახე მიიღო.

ცხადია, რომ ნაციონალიზმს, როგორც პოლიტიკურ მოვლენას სხვადასხვანაირი, მათ შორის, რადიკალური (რასაც შოვინიზმსა და ფაშიზმამდე მივყავართ) გამოვლინებები აქვს, მაგრამ ვიმეორებთ საფუძველში უაღრესად მართებული და ჯანსაღი იდეა უდევს. მისწრაფება ერისა საკუთარი სახელმწიფოებრივი წესრიგისაკენ.

მაშ რატომ უნდა გვეშინოდეს დღეს ეროვნული სახელმწიფოს მოთხოვნა? მართალია ეს ცოტა გვიან მოგვდის, მაგრამ დაგვიანება ხომ ჩვენი ბრალი არ არის. სულ სხვაა საკითხი იმის შესახებ თუ რა შინაარსისა და ფორმის გვინდა იყოს ჩვენი სახელმწიფო. აი [illegible] სადავო, აი აქ უნდა ვთქვათ უარი პოსტკომუნიზმს, ფაშიზმსა და ტოტალიტარიზმზე. დღევანდელი ცივილიზაცია შინაარსით ლიბერალურ (თავისუფალ) ხოლო ფორმით კი დემოკრატიულ სახელმწიფოს გულისხმობს.

ბუნებრივია, რომ ნაციონალიზმს, რომელიც, როგორც ვთქვით ,ყველაზე უფრო მძლავრი პოლიტიკური მოვლენაა, თავისი მიზნებისათვის იყენებენ დამპყრობნიც და ე.წ. ინტეგრალური ნაციონლისტები. რომელთა მისწრაფებაა სახელმწიფოებისა და ერების გაერთიანება ერთი რომელიმე ერის პრიმატის ქვეშ. ერის ამ ყველაზე წმინდა გრძნობებზე თამაშობენ სხვადასხვა ჯურის პოლიტიკური ავანტურისტებიც. ყველაზე დიდი ტრაგიზმი კი მაშინ შეინიშნება, როდესაც ეროვნული დამოუკიდებლობის ე.ი. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნის ტალღაზე მოსული ხელისუფლება ვერ, ან არ აშენებს სამოქალაქო-ეროვნულ სახელმწიფოს. ასეთ ვითარებაში, როგორც წესი იგი დროებით, ნეოფეოდალურ, დინასტიურ რეჟიმს ამყარებს. ეს ნაკლებად ცივილიზებულ ქვეყნებს ახასიათებთ. ასეთ ვითარებაში ცხადია უგულებელყოფილია მოქალაქეთა ეროვნული ინტერესები. ამგვარი სახელმწიფოს მოწყობა არ არის ეროვნული სახელმწიფო. ასეთი სახელმწიფოს მოქალაქეს მუდმივი გაუცხოების გრძნობა აქვს საკუთარ ხელისუფლებასთან.

დღეს შეგნებულადა თუ გაუბედაობით ქვეყანაში ასპარეზი დათმობილი აქვთ ანტისახლმწიფოებრივ - ანტიეროვნულ ელემენტებს. ამგვარ მოდელს შეიძლება ნომენკლატურული კაპიტალიზმი, გნებავთ პოსტ-საბჭოური ფეოდალიზმი ვუწოდოთ. მაგრამ არამც და არამც სამოქალაქო-ეროვნული სახელმწიფო. მავანთა მცდელობა მიღებული სურათი „თქვენს მიერ ნაქებ" თავისუფლებად მოგვაჩვენოს - პოპულიზმია. ვინაიდან, როგორც ვთქვით, არსებული სიტუაცია მხოლოდ რევანშისტებსა და ფუნდამენტალისტებს აძლევს ხელს.

ამრიგად დღეს ჩვენს წინაშე მდგომი უმთავრესი ამოცანაა - ქართული სამოქალაქო-ეროვნული სახელმწიფოებრიობა. დროა ბოლოს და ბოლოს მოვიცალოთ, დავსხდეთ და შევქმნათ ქართული სამოქალაქო-ეროვნული სახელმწიფოს ისეთი მოდელი, რითაც არ შეგვრცხვება წარვსდგეთ კაცობრიობისა და ჩვენი მემკვიდრეების წინაშე.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი დაფუძნდა 1995 წლის ივლისში. ცენტრი წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების, პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა აქტიური ჩართვით, მათი ინტერესების ლობირებისა და სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერის გზით ხელს უწყობს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობას. ცენტრი ცდილობს მხარი დაუჭიროს საზოგადოების იმ ჯგუფებს და ცალკეულ პირებს, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ რეფორმებს და ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტური ინსტიტუტის ჩამოყალიბებას.

საზ. ყველა სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით და გამჭვირვალობის, თანასწორობისა და შემოქმედებითი მიდგომის პრინციპებზე დაყრდნობით ორგანიზაცია ცდილობს ინფორმირებული, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოების დამკვიდრებას, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების გარანტია.

ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- *სამოქალაქო განათლება*
- *გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება*
- *საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება*
- *ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა*

თითოეული ამ პრიორიტეტული მიმართულებით სამოქალაქოებულია და მოიქცევა სამუშაო ჯგუფები.

ცენტრის მუშაობის მეთოდებია:

➢ პრობლემის განსაზღვრა, გამოკვლევა და შესაბამისი ინფორმაციის და რეკომენდაციების მიწოდება მომხმარებლებისათვის;

➢ ეფექტური სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის პროგრამებისა და მიდგომების შემუშავება-განხორციელება;

➢ მოქალაქეთა და სამოქალაქო ჯგუფების სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერა, მათი გადაწყვეტილების მღების პროცესში აქტიური ჩართვა, რათა მოხდეს მათი უფლებების უფრო ეფექტური დაცვა და საზოგადოებასა და მთავრობას შორის ურთიერთანგარიშვალდებულების ზრდა;

➢ ლობირების მექნიზმის შემუშავება და მათი ეფექტური ამოქმედება;

➢ მაღალკვალიფიციურ ექსპერტთა ქსელთან მუშაობა;

➢ სამუშაო შეხვედრების, სემინარების, საჯარო განხილვების მოწყობა;

➢ ცენტრის რეგულარულ გამოცემებში/ბიულეტენებში* გამოკვლევების რეგულარული გამოქვეყნება;

➢ საზოგადოებაში დემოკრატიული და სამოქალაქო მიდგომების ხელშეწყობა მასმედიის საშუალებით.

** - საქართველოს ძირითადი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემების ირგვლივ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით ცენტრი თაავისი საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით რეგულარულად გამოსცემს ბიულეტენს და ლიფლეტებს, რომლებიც მიეწოდება სხვადასხვა სამთავრობო და სამეცნიერო უწყებებს, პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სტრუქტურების, მსხვილი კორპორაციების წარმომადგენლებს – გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.*

განხორციელებული და მიმდინარე პროექტები:

- კანონპროექტი საქართველოს გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ;
  კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- კანონპროექტი საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ;
  კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- საქართველოს ტერიტორიული მოწყობის კონცეფცია;
- ეკონომიკური რეფორმები საქართველოში;
- ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროექტი;
- თვითმმართველობა საზოგადოებრივ სამსახურში;
- სამუშაო ჯგუფი „საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება“;
- შავი ზღვის არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის კოორდინირება.

- ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების შემდგომი სამწლიანი პროექტის დაგეგმვისათვის შუალედური პერიოდი;
- შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის ფუნქციონირება და პოპულარიზაცია_;
- ცენტრის ინსტიტუციური განვითარება.
- სამუშაო ჯგუფი „საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება“;
- სამუშაო ჯგუფი „ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა“;
- მოქალაქეთა გარემოსდაცვითი უფლებების დაცვა;
- საქართველოში სათემო მოძრაობის გაძლიერება.

ცენტრის დონორი ორგანიზაციები

➢ **NOVIB** - ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარებისათვის;
➢ **FES** - ფრიდრიხ ებერტის ფონდი;
➢ მსოფლიო ბანკის მცირე გრანტების პროგრამა;
➢ ბრიტანეთის საელჩოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი;

ცენტრის მხარდამჭერები

❖ ცენტრის ინდივიდუალური „მხარდამჭერი" მიიღებს ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო დისკუსიას, ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით.

❖ ცენტრის პარტნიორები, სპონსორები და მხარდამჭერები მიიღებენ ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. კომპანიის/ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის წარმომადგენელს უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო დისკუსიას, კომპანიის/ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით, გარდა ამისა:

❖ ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის „პარტნიორისა", კომპანიის შესახებ ინფორმაციას დაეთმობა ერთი გვერდი ბიულეტენში და მცირე მონაკვეთი ლიფლეტში. დისკუსიების მოსაწვეებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის „პარტნიორი".

❖ ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის სპონსორისა. დისკუსიების მოსაწვეებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის სპონსორი.

❖ ცალკეული დისკუსიებიის სპონსორი კომპანია დისკუსიების მოსაწვეებში მოხსენიებული იქნება, როგორც დისკუსიების „სპონსორი" და მისი ლოგო წარმოდგენილი იქნება დისკუსიებზე ცენტრის ლოგოსთან ერთად.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდამჭერები

❖კომპანია ზენიტ გამა ქონსალთინგი **(Zenith Gamma Consulting)**
❖პროფესორი ალექსანდრე თვალჭრელიძე
❖პროფესორი თეიმურაზ გოჩიტაშვილი

მხარდამჭეროგით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ შეავსოთ თანდართული გამოკითხვის ბარათი და მოგვაწოდოთ ორგანიზაციის მისამართზე

ცენტრის საქმიანობით დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ.

ქ.თბილისი 380094, გამსახურდიას ქ. №33ᵃ, ბინა 22.
ტელ/ფაქსი: (995 32) 964124, 250711
ელექტრონული ფოსტა: csrdg@caucasus.net
http://www.csrdg.caucasus.net

ინდივიდუალური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ მე მსურს გავხდე ცენტრის მხარდამჭერი და მზად ვარ გავიღო 100 ლარი, გთხოვთ, დამიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ, გამომიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ მე არ ვარ დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დამიკავშირდებით.

ჩემი კოორდინატებია:

სახელი, გვარი, _____

სამუშაო ადგილი _____

თანამდებობა _____

მისამართი _____

ტელეფონი _____ ფაქსი _____

კოლექტიური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის პარტნიორი და მზად არის გაიღოს 5000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის სპონსორი და მზად არის გაიღოს 2000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის მხარდამჭერი და მზად არის გაიღოს 280 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს სპონსორობა გაუწიოს ცენტრის სხვადასხვა საჯარო ღონისძიებას, სემინარს ან კონფერენციას, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ გამოგვიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ ჩვენი კომპანია არ არის დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დაგვიკავშირდებით.

ჩვენი კომპანიის კოორდინატებია:

კომპანიის დასახელება — _____ _____

მისამართი _____

ტელეფონი _____ ფაქსი _____

საკონტაქტო პირი _____

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

დაიბეჭდა შ.პ.ს. „კომპიუტერში"
ქ. თბილისი, კრწანისის ქუჩა №3